დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ მიდელაშვილი

წევრები:

თათული მგელაძე
მანანა ვარდოსანიძე
ეკატერინე გავაშელიშვილი
ინგა გოგალაძე
ნინო ზირაქაძე
ნონა გამხიტაშვილი
ხათუნა ქერაშვილი
ნატო გერგაია
ვლადიმერ უშიკიშვილი
მაკა ნატროშვილი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**241557757**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელი საბუე**
ფაქტობრივი მისამართი	**სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელი საბუე**
საფოსტო ინდექსი	**4808**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://skolebi.emis.ge/**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**sabue@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577122327**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 26 თებერვლის ბრძანება MES 1 26 0000230832
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 23-24 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი საბუე - 1 შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი საბუე - 1 შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული ენა	ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი საბუე - 1 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლაში (ს/კ 241557757) 2026 წლის 26 თებერვლის MES 1 26 0000230832 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით, 2026 წლის 23 და 24 მარტს სკოლაში განხორციელდა ვიზიტი. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ჩატარდა გასაუბრება სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან, რამაც ჯგუფის ექსპერტებს მოგვცა საშუალება მიგვეღო ავტორიზაციის სტანდარტების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ვიზიტის ორივე დღემ ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს ოთხივე სტანდარტში, სკოლის ინფრასტრუქტურას, დისტანციური ფორმით მოხდა საგნობრივი კურიკულუმებისა და მეორე სტანდარტის ძირითადი მოთხოვნების შესწავლა. დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება**

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ **შეესაბამება**

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: **------250--------**	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	დაწესებულებამ მოსწავლეთა რაოდენობის 150 მოსწავლიდან 250 მოსწავლემდე გაზრდასთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიციისას 2026 წლის 24 აპრილს წერილით (MES3260000479596) მიმართა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის შენობა გათვლილია 250 მოსწავლეზე და არსებობს შესაბამისი მატერიალური რესურსი (დასაწყობებული მერხებისა და სკამების სახით). ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სკოლა შეძლებს საგანმანათლებლო მომსახურება შესთავაზოს 250 მოსწავლეს.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N...		
3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს პირველადი სამედიცინო დახმარების სერვისის მიწოდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის მეშვეობით შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით (23.12.2025-23.12.2026). **(იხ. ინდიკატორი)**
3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	სკოლას მიეცა რეკომენდაცია გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01/05/2026 – 30/10/2026წ.წ) უზრუნველყოს პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაბამისი გეგმის შემუშავება. **(იხ. ინდიკატორი)**
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	• სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (23/12/2025-.23.12.2026 წ.წ.) უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთან. • სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (23/12/22025-.23.12.2026 წ.წ.) წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. • სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (23/12/22025-.23.12.2026 წ.წ.) უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

		(იხ. ინდიკატორი)
3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით (23/12/2025 – 23/12/2026წწ.) დაწესებულებაში სამედიცინო პერსონალის დასაქმება კანონმდებლობით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.
3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს სკოლამ	სკოლას მიეცა რეკომენდაცია ლიფტის და ან პანდუსების მოწყობა უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში. (23/12/2025 – 23/12/2027) (იხ. ინდიკატორი)
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....	საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, 2026 წლის 23 დეკემბრამდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვა. (აქტიურად გამოიყენონ ვირტუალური ლაბორატორიებიც,რაც

		ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას). **(იხ. ინდიკატორი)**

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	სასურველია, სკოლამ მოახდინოს სასკოლო საზოგადოების მიერ გამოთქმული უკუკავშირების დოკუმენტირება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებით (ახალ სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესში მათი ეფექტურად გამოყენების მიზნით). **(იხ. ინდიკატორი)**
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		
3.3.1.2	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	სასურველია სკოლამ უზრუნველყოს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების აღმწერი ერთიანი დოკუმენტის შემუშავება. **(იხ. ინდიკატორი)**
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **(იხ. ინდიკატორი)**

	უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული	
3.6.3.3	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სასურველია სკოლამ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესში დააკონკრეტოს სასკოლო საზოგადოებიდან მიღებულ უკუკავშირზე რეაგირების პროცედურები. **(იხ. ინდიკატორი)**
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
4.2.2.1.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	სკოლის მხრიდან კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ძირითადი მომსახურება უზრუნველყოფილია ჯგუფური კონსულტაციების სახით, თუმცა, სასურველია, სისტემური ხედვის შემუშავება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით (კერძოდ, ადგილობრივ ბაზარზე დასაქმებისა და პროფესიული

		განვითარების შესაძლებლობების გაცნობა, ინდივიდუალური ინტერესებისა და უნარების შეფასება და სხვა), რათა თითოეულ მოსწავლეს მიეცეს პერსონალიზირებული მხარდაჭერა. (იხ. ინდიკატორი)

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სამივე საფეხურზე გაიზარდოს სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. საზოგადოებრივი მეცნიერებები: მომდევნო სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას, სასურველია, გათვალისწინებული იყოს საგანთა შორის ინტეგრირების პროცესი და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები. ესთეტიკური აღზრდა: სასურველია დაწყებით და საბაზო საფეხურის კურიკულუმებში თემატური ბლოკის ფარგლებში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება . მათემატიკა: სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით ძირითადად დაფარულია ყველა თემა. თუმცა, ზოგ შემთხვევაში არაა

		დაცული თემებისა და საკითხების შესაბამისობა. არ არის გამოკვეთილი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. სასურველია: კურიკულუმები შემუშავდეს მესამე თაობის ესგ-ის შესაბამისად, სადაც მკაფიოდ იქნება გამოკვეთილი და სწორად განსაზღვრული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები; ასევე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისობა სავალდებულო თემებს, საკითხებსა და ქვესაკითხებს შორის. აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით შემუშავდეს დაწყებითი საფეხურის (V, VI კლასები), საბაზო საფეხურის (VII, VIII, IX კლასები) და საშუალო საფეხურის (XI კლასი) კურიკულუმები — IV, X და XII კლასების კურიკულუმების ანალოგიურად. ასევე შესაძლებელია, ნიმუშების სახით, გამოყენებულ იქნას math.ge-ზე განთავსებული კურიკულუმები. **(იხ. ინდიკატორი)**
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი მეცნიერებები: კურიკულუმში სამივე საფეხურთან მიმართებაში დაემატოს მრავალფეროვანი რესურსები, იქნება ეს ელექტრონული თუ მატერიალური, მათ შორის პედაგოგების მიერ დამზადებული რესურსები. **(იხ. ინდიკატორი)**
2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები: საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შეფასების რუბრიკები გადამუშავდეს სამივე საფეხურზე თემის ფარგლებში წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისად.

		მათემატიკა: სასურველია, სამივე საფეხურის შემოქმედებითი დავალებები შეფასდეს განმავითარებელი შეფასებით სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, შესაბამისი რუბრიკის გამოყენებით ; სამივე საფეხურის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები დაზუსტდეს სტანდარტის შედეგის მიღწევის ინდიკატორებთან მიმართებაში. **(იხ. ინდიკატორი)**
2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	საზოგადოებრივი მეცნიერებები: კათედრის წევრებმა სამივე საფეხურისთვის მნიშვნელოვანია შექმნან უფრო მეტ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული შეფასების რუბრიკები. უფრო ვალიდური და სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემისთვის სასურველია კათედრამ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები შექმნას საკითხსა და ქვესაკითხებზე დაყრდნობით, დეტალურად აღწეროს, რას შეიძლება ელოდოს მოსწავლისგან, რათა მან შეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის გაუმჯობესება. **(იხ. ინდიკატორი)**
2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია სამივე საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენდეს ის მრავალფეროვანი რესურსები, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში და რომელზეც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს. **(იხ. ინდიკატორი)**

2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	საზოგადოებრივი მეცნიერებები: დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული ან შექმნილი და კომპლექსური დავალების განხორციელებისთვის რელევანტური. (იხ. ინდიკატორი)
ინდიკატორი N....	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: დაწყებით საფეხურზე, ბუნებისმეტყველების საგნობრივი საკითხების დამუშავების პროცესში, გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონულ რესურსები და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. (იხ. ინდიკატორი)
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: დაწყებით საფეხურზე, ბუნებისმეტყველების საგნობრივი საკითხების დამუშავების პროცესში, გამოყენებული იქნას მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები და ეს აისახოს კურიკულუმის დოკუმენტაციაში. (იხ. ინდიკატორი)

2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	ესთეტიკური აღზრდა: დაწყებითი საფეხურის V-VI კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმებში, თემები ჩაშენებულია თემატურ ბლოკებთან კავშირში, მაგრამ აკლია მესამე სავალდებულო თემატური ბლოკის დასახელებები. სასურველია ჩასწორდეს და ორივე კლასში დაემატოს თემატური ბლოკები საგნის სტანდარტთან სრული შესაბამისობით. **(იხ. ინდიკატორი)**
ინდიკატორი N....	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	ესტეტიკური აღზრდა: სასურველია საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ასევე მუსიკის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენდეს ის მრავალფეროვანი დამატებითი რესურსები, რომელზეც პედაგოგებმა ვიზიტისას ისაუბრეს. მათემატიკა: სასურველია შემოქმედებითი დავალებების განხორციელებისას გამოყენებულ იქნას უფრო მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები (V – IX კლასები). შესაძლებელია საგანმანათლებლო პლატფორმა Math.ge - ზე განთავსებული რესურსების გამოყენება. **(იხ. ინდიკატორი)**

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლამ 27.04.2026 წლის MES 3 26 0000484563 კორესპონდენციით **წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. სკოლა სრულად დაეთანხმა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და წარმოადგინა ხარვეზების გამოსწორების მტკიცებულებები და სტანდარტთან უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმა.** რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება" ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,შესაბამისი", ან ,,მეტწილი". კერძოდ:

ინდიკატორი N. 3.1.2.3. - თანამშრომელთა პირადი საქმეების დათვალიერებისას 11 მასწავლებელთან და 4 თანამშრომელთან სრულად არ იყო წარმოდგენილი ცნობები ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ სრულად წარმოადგინა 11 მასწავლებლის და 4 თანამშრომლის ცნობები. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,შესაბამისობით". **ინდიკატორი N3.1.2.3.** აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N 3.1.2.4. სკოლის ექიმის პოზიციაზე მყოფი კადრის კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2026 წლის 20 აპრილის ერთობლივი ბრძანება N 58/ნN 14/ნ მოთხოვნებს.

სკოლის დირექტორის მ.შ. ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულია ღია კონკურსი სკოლის ექიმის ვაკანტური ადგილის შესავსებად. შესაბამისობის გეგმით კვალიფიციური კადრით სკოლის უზრუნველყოფა განსაზღვრულია 2026 წლის 23

დეკემბრამდე. დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,მეტწილი შესაბამისობით". **ინდიკატორი N3.1.2.4.** მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N.3.2.1.2. - სკოლას არ წარმოუდგენია გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის შემუშავებული გეგმა.
არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დგინდება, რომ სკოლამ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმა შესაბამისი აქტივობები (გაკვეთილებზე დასწრება, დაკვირვება და ანალიზი, სასწავლო პროექტების და თემატური ღონისძიებები და სხვა), განსაზღვრა პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები (01/05/2026 – 30/10/2026). აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,მეტწილი" შესაბამისობით. **ინდიკატორი N3.2.1.2.** მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი N. 3.3.1 1. - დაწესებულებას ხარისხის პოლიტიკის განხორციელებისთვის დოკუმენტურად გაწერილი არ ჰქონდა სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისა და შესაბამისი წლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესი, გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების პროცედურები, დასკვნის შედგენისა და უკუკავშირის პროცესი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელების პროცესი.
დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებად წარმოადგინა სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2026 წლის 17 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის წესი, რომელიც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,შესაბამისობით". **ინდიკატორი N3.3.1.1.** აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N. 3.3.1 3. - სკოლას თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის სისტემა დოკუმენტურად გაწერილი არ ჰქონდა შიდა რეგულაციით, რაც არ უზრუნველყოფდა პროცესის ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვას.

აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაზე მტკიცებულების სახით წარმოადგინა სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2026 წლის 17 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა, მოსწავლეების, მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,შესაბამისობით". **ინდიკატორი N3.3.1.3.** აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N. 3.3.1 4. - სკოლას დოკუმენტურად ზუსტად არ ჰქონდა განსაზღვრული პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაზე მტკიცებულების სახით წარმოადგინა სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2026 წლის 17 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - მოსწავლის, პერსონალის, მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა", ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,შესაბამისობით". **ინდიკატორი N3.3.1.4.** აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N.3.4.1.1 - აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულებას ჰქონდა 2 ხარვეზი: ა) სკოლის გარე პერიმეტრი სრულად არ კონტროლდება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით. ბ) სკოლას სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით 2022 წელს მიღებული რეკომენდაციების ნაწილი ჯერ კიდევ შესასრულებელი ჰქონდა და ვერ აკმაყოფილებდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.
ა) საბუეს საჯარო სკოლის გარე პერიმეტრი სრულად კონტროლდება. დაწესებულებამ სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გამოგზავნილ წერილთან (MES 6260000523616) ერთად წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგი მტკიცებულებები: შესყიდვებისა და მონტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ფოტომასალით.
ბ)არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დგინდება, რომ სკოლამ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრა შესაბამისი აქტივობები, პ/პირები და შესრულების ვადები (23/12/2025 – 23/12/2026). აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ

შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,მეტწილი“ შესაბამისობით. **ინდიკატორი N3.4.1.1.** მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N. 3.6.3.5. - სკოლის ვებ გვერდზე არ იყო განთავსებული ინფორმაცია მოსწავლეთა პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების შესახებ. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციის წარმოდგენისას ვებ გვერდზე განათავსა შესაბამისი ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,შესაბამისობით“. **ინდიკატორი N3.6.3.5.** აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი N. 2.1.2.2. - მათემატიკის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სრულად არ იყო გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საკითხი. კერძოდ, „სინუსების თეორემა“და „კოსინუსების თეორემა“, რომლებიც უზრუნველყოფს თემის „გეომეტრიული ობიექტები და მათი ზომები“ სრულფასოვან დამუშავებას. არგუმენტირებულ პოზიციისას სკოლამ წარმოადგინა XI კლასის განახლებული კურიკულუმი, სადაც აღნიშნული საკითხები უკვე გათვალისწინებულია. შესაბამისად, გამოვლენილი ხარვეზი აღმოფხვრილია. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,შესაბამისობით“. **ინდიკატორი N2.1.2.2.** აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ყვარლის მინიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის მისიაა ,,მოსწავლეებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლების მიცემა. უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში აღზარდოს მაღალი აკადემიური ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული თავისუფალი და პასუხისმგებელი, კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის უნარების, ჯანსაღი ღირებულებების მატარებელი ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ საკუთარი შესაძლებლობების ოპტიმალური შეფასება და ცხოვრებაში რეალიზება“.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი ხედვა - სკოლა შეძლებს სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით ხელი შეუწყოს დემოკრატიულ, ჰუმანურ ცოდნაზე ორიენტირებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალურად მოაზროვნე აქტიური თაობების აღზრდას, თაობების - რომლებიც შეცვლიან მომავალს უკეთესობისაკენ.
სკოლის ღირებულებებს წარმოადგენს: გუნდურობა, გამჭირვალობა, დემოკრატიულობა, თანამშრომლობა, ობიექტურობა.
სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი სასკოლო საზოგადოების წინაშე. მენეჯმენტის განმარტებით და ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში უსაფრთხო გარემოა და ხდება მოსწავლეთა, მშობელთა და თანამშრომელთა ემოციური, სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა. კერძოდ, სკოლა ორიენტირებულია პიროვნულ განვითარებაზე, მოიაზრებს თანამშრომლობით, პოზიტიურ გარემოს და ტოლერანტულ დამოკიდებულებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის დირექტორის მ.შ-ის განმარტებით, ფილოსოფიის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სასკოლო საზოგადოების მოსაზრებების გათვალისწინებას ემსახურებოდა:

- ანკეტირება მოსწავლეების, თანამშრომელთა და მშობელთა ჩართულობით.
- საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა (სკოლის დირექტორის მ.შ.-ის ბრძანება N2-58. 04/12/2025).

აღნიშნული ჯგუფის N1 სხდომის ოქმით (05/12/2025) დგინდება, რომ სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ განხილულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების განსხვავებული ვერსიები და შემუშავებულია დასრულებული ვარიანტი.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის ფილოსოფიის გაზიარების მექანიზმები გაწერილია მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 4 დეკემბერს, სკოლის დირექტორის მ.შ. მიერ N2-57 ბრძანებით. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სკოლის დირექტორის მ.შ. -ის 2025 წლის 4 დეკემბრის N 2 – 58 ბრძანებით - სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფს შექმნის შესახებ - დგინდება, რომ სკოლის ფილოსოფიის განხილვასა და დამტკიცებაში მონაწილეობენ სამეურვეო საბჭოს წევრები, თემის წარმომადგენელი, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის საბოლოოდ შეთანხმებული მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდა ხელმისაწვდომი. კერძოდ, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას სკოლის საინფორმაციო დაფაზე. მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ აღნიშნული საკითხი განხილულია მშობელთა N2 კრებაზე. მოსწავლეებისათვის გაზიარებულია - დამრიგებლის საათზე. ინფორმაციის ფართო საჯაროობას უზრუნველყოფს ვებ-გვერდი.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

   სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს 2005 წლის 15 სექტემბრის N448 - ე ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 14 აგვისტოს №110/ნ ბრძანებით იწოდება „სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლა“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა და ღირებულებები)

- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების შესახებ სამუშაო ჯგუფს შექმნის შესახებ დირექტორის მ.შ. ბრძანება
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმიN1
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით შექმნილი კითხვარები მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

საბუეს საჯარო სკოლას აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს და მოიცავს შემდეგ საკითხებს: სტრატეგიულ დაგეგმვასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ქვეპროცესებს, ჩართულ მხარეებს, სკოლის ფილოსოფიაში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების მექანიზმებს, მონიტორინგის ფორმებს, საშუალებებს და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სოფელ საბუეს საჯარო სკოლის 2023-2030 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი განხილულია პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის სხდომაზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (15/09/2023). სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია სკოლის შესაძლებლობების (SWOT ანალიზი) და ფილოსოფიის შესაბამისი პრიორიტეტული ამოცანები, დაგეგმილია 7 სტრატეგიული მიმართულება: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება და ორგანიზაციული განვითარება. დაწებულების მიერ წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფების, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს ოქმებით და სხვა მასალებით დასტურდება, რომ სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და ემსახურება სკოლის მისიისა და ხედვის რეალიზებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას აქვს 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განხილულია პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (09/09/2025, ოქმი N 1) და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (12/09/2025, სხდომა N3). სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან. 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია შემდეგი სტრატეგიული მიზნები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიული მიზნების შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს. მითითებულ ვადებში აქტივობების (მაგალითად, გაკვეთილებზე დასწრებები, დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან დამატებითი კონსულტაციები, ინდივიდუალური გეგმების მონიტორინგი, დამატებითი ეკონომიური შემოსავლების მოძიება და სხვა) განხორციელება შესაძლებელია. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტის მე-8 მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრულია ის გარემოებები/ფაქტორები (მაგალითად, მონიტორინგების შედეგები, სასკოლო საზოგადოების წევრთა უკუკავშირი და სხვა), რომლის საფუძველზეც შესაძლებელია სამოქმედო გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.
დაწესებულების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების უზრუნველყობა რეალისტურია.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ.სამოქმედო გეგმა
- საგნობრივი კ/გამგეების სამოქმედო გეგმები

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის მე-12 თავის მიხედვით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ (მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს), ხოლო სამოქმედო გეგმის შეფასება წელიწადში ორჯერ. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტებიც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში, თუმცა მის შეფასებაში სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სრული სახით ვერ წარმოადგინა. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა მათთან თანამშრომლობს და ახდენს შესრულებული საქმიანობის ანგარიშგებას. აქედან გამომდინარე, სკოლას მიეცა **რჩევა**: მოახდინოს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირების დოკუმენტირება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებით, მისთვის სასურველი ფორმით (ახალ სამოქმედო გეგმაზე მუშაობის პროცესში მათი ეფექტურად გამოყენების მიზნით).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა 2024-2025 ს.წ. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. სკოლის დირექტორის მ.შ. - ის განმარტებით პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები სემესტრულად და/ან წლის ბოლოს წარმოადგენენ ანგარიშებს სამეურვე და პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე (რომელსაც სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი დაგეგმარებისა და განვითარებისათვის). სკოლის მენეჯმენტის განმარტებით, აღნიშნული ანგარიშები განთავსდება საინფორმაციო დაფაზე, სკოლის საინფორმაციო საშუალებებზე, რათა ცნობილი გახდეს დაინტერესებული მხარეებისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დგინდება, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები განხილულია სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მენეჯმენტთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალი სამოქმედო გეგმის შედგენისათვის. მიმდინარე წელს გათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა ინტერესები სპორტული და სხვა ღონისძიებების დაგეგმვისას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ.სამოქმედო გეგმა
- საგნობრივი კ/გამგეების სამოქმედო გეგმები
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის 2024-2025 ს.წ.სამოქმედო გეგმის ანგარიში

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის N 2 სხდომაზე. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია პერსონალის მართვის საკითხები (პერსონალის დანიშვნის, მოზიდვის, ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის, პერსონალის შეფასების, პროფესიული განვითარების ხელშემწყობის პროცესები, პერსონალის კმაყოფილების კვლევის, პერსონალის გათავისუფლების და სხვა საკითხები. გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურით განსაზღვრულია თანამდებობრივი დაქვემდებარებები, ურთიერთმიმართებები და მოიცავს შემდეგ

ერთეულებს: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, ხარისხის განვითარების ჯგუფი, კათედრები.
ვიზიტის პერიოდში საბუეს საჯარო სკოლაში დასაქმებული იყო 27 უფროსი და 1 მოწვეული მასწავლებელი, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1 ცეცხლფარეში, 2 დარაჯი, 3 დამლაგებელი, 1 სკოლის ექიმი.
სკოლის სტრუქტურისა და წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები და რგოლები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული აქვს დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 21 დეკემბერს დირექტორის მ.შ. მიერ ბრძანებით N 2-61. დოკუმენტით განსაზღვრულია ბუღალტრის, მასწავლებლის, მოწვეული, შემცვლელი და სპეციალური მასწავლებლის, საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, დამლაგებლის, დარაჯის, სკოლის ექიმის, ცეცხლფარეშის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შესაბამისობაშია ორგანოგრამასთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან.
წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობები განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ორგანოგრამა
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის საშტატო განრიგი
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის სხდომის ოქმი N 2

- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

საბუეს საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული არაერთი დოკუმენტი არეგულირებს სკოლაში პერსონალის მართვის პროცესებს. ამ მიზნით საბუეს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის N 2 სხდომაზე დამტკიცებულია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, მათი მოტივაციის გაზრდის საკითხები და სხვა.
პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს.
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსის წესით. ღია კონკურსის შემთხვევაში განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება მასწავლებლის დასაქმების გვერდზე https://teacherjobs.ge/. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო მასალა და დადგინდა, რომ შერჩევა განხორციელდა შესაბამისი რეგულაციების დაცვით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

საბუეს საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა. მასწავლებლის სკოლაში გამოუცხადებლობის ან საავადმყოფო ფურცელზე გასვლის შემთხვევაში დროულად ხდება მისი ჩანაცვლება სხვა მასწავლებლით, რათა ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. შრომითი ხელშეკრულებით მასწავლებელს ეკისრება ვალდებულება სკოლის დირექციასთან შეთანხმებით, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, სხვა მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გაცდენისას ჩაატაროს შესაბამისი გაკვეთილი.
როგორც სკოლის წარმომადგენლებთან (ადმინისტრაცია, მოსწავლეები) გასაუბრებით დადგინდა, მასწავლებლის გაცდენის შეთხვევაში, სკოლა მყისიერად ახდენს საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირებას, გაკვეთილების გადანაცვლებას და იმავე საგნის თავისუფალი მასწავლებლის/სხვა მასწავლებლის/დამრიგებლის ჩანაცვლებას გაკვეთილზე. სკოლაში ასევე მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც უფლებამოსილების ფარგლებში იღებს საჭირო გადაწყვეტილებებს რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია გარკვეულ პოზიციებზე შიდა, ღია ან კონკურსის გარეშე პერსონალის შერჩევის, დანიშვნის, ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის და ა.შ. წესი.
წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ახალი პერსონალის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით, teacherjobs.ge პლატფორმაზე ვაკანსიის გამოცხადებით. მასწავლებელთა კონკურსის გამოცხადებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია სამუშაო პროცედურები (სამუშაო კვირის, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, დასვენების წესები, შრომის ანაზღაურების გაცემის დროსა და წესი, ანაზღაურებადი შვებულების მიცემის წესები და სხვა). სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.
პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, მაგრამ ნაწილი არ მოიცავს ცნობებს თანამშრომელთა ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ.
<u>თანამშრომელთა პირადი საქმეების დათვალიერებისას 11 მასწავლებელთან და 4 თანამშრომელთან სრულად არ იყო წარმოდგენილი ცნობები ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ.</u>
აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ სრულად წარმოადგინა 11 მასწავლებლის და 4 თანამშრომლის ცნობები.
აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა „შესაბამისობით“.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, შემუშავებული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დირექტორის მ.შ. ბრძანება N 2-61. 21/12/2025). მასწავლებლის შემთხვევაში საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად.

<u>სკოლის ექიმის პოზიციაზე მყოფი კადრის კვალიფიკაცია არ შეესაბამება</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტის მოთხოვნებს. <u>მას საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დასრულების შემდეგ მინიჭებული აქვს სამკურნალო - გამაჯანსაღებელი მუშაობის სპეციალისტის კვალიფიკაცია. 2024 წელს წნორის სამედიცინო და ჰუმანიტარული სასწავლებლის დასრულების შემდეგ - მედდის კვალიფიკაცია, მონაწილეობა აქვს მიღებული ალიანსი „ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლის“ ფარგლებში საქართველოს სკოლების ექიმთა ასოციაციის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში (რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით).</u>

სკოლის დირექტორის მ.შ. 2026 წლის 9 თებერვლის N 2-09 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულია ღია კონკურსი სკოლის ექიმის ვაკანტური ადგილის შესავსებად, ხოლო 2026 წლის 13 თებერვლის დირექტორის მ.შ. ბრძანებით N 2-10, კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია საკონკურსო კომისია.
შესაბამისობის გეგმით კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმით სკოლის უზრუნველყოფა განსაზღვრულია 2026 წლის 23 დეკემბრამდე.
აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, სკოლამ მიიღო შემდეგი <u>**რეკომენდაცია:**</u> უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით (23/12/2025 – 23/12/2026წწ.) სამედიცინო პერსონალის დასაქმება კანონმდებლობით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.
ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებული.

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მენეჯმენტის განმარტებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუირების პროცესით დასტურდება, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. კოლეგიალური ორგანოების, მასწავლებელთა და სკოლის სხვა პერსონალის ჩართულობით ერთობლივად იგეგმება და ხორციელდება სასკოლო აქტივობები (საახალწლო ზეიმები, შემოდგომის დღესასწაულები, გასვლითი ღონისძიებები და სხვა), საგნობრივი კათედრების, სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

დაწესებულებას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-16 მუხლით განსაზღვრული აქვს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი. მათ შორის, წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით თანამშრომელთა წარმატებულ მიღწევებს ან აქტივობებს ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა - ტარდება ერთობლივი შეხვედრები, ვებ გვერდზე ან სოციალურ ქსელში თავსდება ინფორმაცია და ა.შ. წარმატებული გამოცდილებების გაზიარებას და აღიარებას ემსახურება მასწავლებელთა ყოველწლიური რაიონული კონფერენციები, სადაც აქტიურად მონაწილეობენ საგნობრივი კათედრების წევრები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- სკოლის ექიმის პირადი საქმე
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება სკოლის ექიმის ვაკანტური ადგილის შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები

- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა სერტიფიკატები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის მე-10 და მე-11 მუხლებით, 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით განსაზღვრულია სკოლის პოლიტიკა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების თვალსაზრისით.
სკოლის ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის მე-14 მუხლით განსაზღვრულია პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი - შეფასების ფორმები, შეფასების პერიოდი, პასუხისმგებლობები და სხვა. წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას სკოლაში ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტის მე-10 და მე-15 მუხლებით განსაზღვრულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირება სამუშაოს კატეგორიის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტის მიხედვით გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ხდება სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვა (კონსულტაციები, სამუშაო შეხვედრები, ღია და ინტეგრირებული გაკვეთილების ორგანიზება, მონაწილეობა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში, ტრენინგები, მასწავლებელთა კონფერენციებში და სხვა). სკოლის სასწავლო ნაწილის გამგესთან ინტერვიუირებით და მისი პირველი სემეტრის ანგარიშით დგინდება, რომ მიმდინარე წელს განხორციელდა კათედრებს შორის ურთიერთდასწრებები, დაიგეგმა საგანმანათლებლო აქტივობები. ურთიერთდასწრებამ და ჩატარებულმა აქტივობებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში და აღნიშნული პრაქტიკა გაგრძელდება. წარმოდგენილი მასალებით დგინდებოდა, რომ სკოლა ხელს უწყობდა პერსონალის განვითარებას, მაგრამ <u>არ ჰქონდა გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმა. არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დგინდება, რომ სკოლამ აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმა შესაბამისი აქტივობები (გაკვეთილებზე დასწრება, დაკვირვება და ანალიზი, სასწავლო პროექტების და თემატური ღონისძიებები და სხვა), განსაზღვრა პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები (01/05/2026 – 30/10/2026). აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.</u>

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლას დოკუმენტურად ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში (დამტკიცებულია სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის N 2 სხდომაზე) გაწერილი აქვს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. დირექტორის მ. შ.-ის განმარტებით თანამშრომლობითი კულტურა ყველა პედაგოგს აძლევს საშუალებას პროფესიულ ზრდაში. ამ მიზნით შექმნილია სოციალური ჯგუფები, თანამშრომლები მუდმივად იღებენ შეტყობინებეს ტრენინგების თაობაზე, ყოველწლიურად მონაწილეობენ მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციებში და სხვა. სკოლას აქვს მზაობა ხელი შეუწყოს მასწავლებელთა კარიერულ ზრდას მათი ინტერესის და საჭიროების მიხედვით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-7 მუხლით განსაზღვრულია თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები. სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით მიმართავს შემდეგ ღონისძიებებს და აქტივობებს: ახალი თანამშრომლისათვის სკოლის დათვალიერება, ორგანიზაციული კულტურის გაცნობა, პირადი ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, ინფორმირება სკოლაში მიმდინარე სასწავლო - აღმზრდელობით პროცესებზე, სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობა და სხვა. თანამშრომლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი სრულად ინტეგრირებულები არიან სამუშაო გარემოსთან. ჩართულნი არიან სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფებში, საჭიროების შემთხვევაში Eflow-სა და Eschool-ის ბაზებში, იმართება გასვლითი კორპორატიული ღონისძიებები, ექსკურსიები და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრული აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების ფორმები (მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა სერტიფიკატები
- სასწავლო ნაწილის 2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მ.შ. მიერ 2025 წლის 22 დეკემბრის N2-64 ბრძანებით. წინამდებარე მექანიზმი არეგულირებს სკოლის სწავლა-სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესების მართვას და ადგენს ხარისხის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასთან, განხორციელებასთან და შემდგომ მის შეფასებასთან დაკავშირებულ აქტივობებს და ითვალისიწინებს ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭირო პროცესების გადახედვისა და მინიტორინგის შედეგებს. აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნათა გათვალისწინებით სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლას დაწყებული აქვს სასწავლო პროგრამების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესების მექანიზმების შესწავლა. თუმცა, იმისათვის რომ სკოლამ საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა განახორციელოს ხარისხის პროცესული მიდგომებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის მოთხოვნების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში ან სხვა დოკუმენტებში გაწერილი უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

- სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისა და შესაბამისი წლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესი;
- გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების პროცედურები;
- დასკვნის შედგენისა და უკუკავშირის პროცესი;
- რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელების პროცესი.

<u>დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში ხარისხის პოლიტიკის განხორციელებისთვის დოკუმენტურად გაწერილი არ ჰქონდა სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასებისა და შესაბამისი წლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესი, გეგმიური და არაგეგმიური შემოწმების პროცედურები, დასკვნის შედგენისა და უკუკავშირის პროცესი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელების პროცესი.</u>
<u>დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებად წარმოადგინა სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2026 წლის 17 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის წესი, რომელიც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა „შესაბამისობით“.</u>

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას რიგ დოკუმენტებში (სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით, 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმით, ხარისხის მართვის დოკუმენტებით) განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგადი პროცესები. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვა აღწერილია სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგის დოკუმენტში, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების და შეფასების, სასწავლო პროგრამების, ადამიანური რესურსის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისა და გაუმჯობესების საკითხები. დამხმარე პროცესები აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, საქმისწარმოების წესის, ბიბლიოთეკის მუშაობის და სხვა დებულებებში.

საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესებთან დაკავშირებით სკოლამ მიიღო შემდეგი **რჩევა:** სასურველია, შექმნას ერთი დოკუმენტი ან ხარისხის მართვის მექანიზმებში აღწეროს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლაში არჩეულია სამეურვეო საბჭო, რომელიც ამტკიცებს დისციპლინური კომისიის წევრებს მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანაბარი შემადგენლობით. აღნიშნული კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია დაინტერესებულ პირს სამეურვეო საბჭოში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, სკოლაში დისციპლინარული გადაცდომის დაფიქსირებისთანავე იქმნება სააპელაციო კომიტეტი, რომელიც გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში ქმნის დაცვის დამატებით მექანიზმს.

სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი მხოლოდ შემდეგი ფორმულირებით - სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით (რაც არ უზრუნველყოს პროცესის გამჭვირვალობას). სკოლას თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის სისტემა დოკუმენტურად გაწერილი არ ჰქონდა შიდა რეგულაციით.

<u>აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაზე მტკიცებულების სახით წარმოადგინა სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2026 წლის 17 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა, მოსწავლეების, მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა „შესაბამისობით“.</u>

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პერსონალის, მშობელთა და მოსწავლეთა განმარტებით, მათი უფლებები დაცულია სკოლის მშვიდ, უსაფრთხო და თანამშრომლობით გარემოში. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მშობლის, პერსონალის უფლება - მოვალეობებს. ხელშეკრულებებით განსაზღვრულია თანამშრომელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობები. თუმცა, **დოკუმენტურად ზუსტად არ იყო განსაზღვრული** პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაზე მტკიცებულების სახით წარმოადგინა სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2026 წლის 17 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - მოსწავლის, პერსონალის, მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა „შესაბამისობით“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა ხელშეკრულებები
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ხელშეკრულებები

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები (პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით). სკოლის სტრატეგიის, პრიორიტეტების, მიღწევების, სიახლეების, აქტივობების და ა.შ. გაცნობა ხდება კლასის დამრიგებლების მიერ სადამრიგებლო კლასის და მშობელთა კრებებზე, სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე და სხვა. სასკოლო საზოგადოების ინფორმირების საშუალებას წარმოადგენს საინფორმაციო დაფა, კომუნიკაციის შემდეგი ელექტრონული საშუალებები: სოციალური ქსელი, სკოლის ვებ- გვერდი, ელექტრონული ფოსტა, დახურული ჯგუფები, Teams-ის პლატფორმა და სხვა.
უკუკავშირის გამოყენების მიზნით სკოლა იყენებს კითხვარებს, სასკოლო საზოგადოების წევრებთან (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი) ინდივიდუალურ შეხვედრებს და სხვა ფორმებს. მაგალითად, 2025 წელს სკოლაში ჩატარდა ანკეტირება სკოლის ფილოსოფიის შემუშავებასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, მიღებული უკუკავშირის შეფასების შემდეგ სკოლის მენეჯმენტმა განიხილა მოსაზრებები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურა, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად ერთეულს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულები არიან მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად, სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო და მათი ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ორგანოგრამა
- სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

• სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 15 სექტემბრის სხდომის ოქმი N 2

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრული და დაცულია.

შემუშავებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი საქართველოს მთავრობის 2017 წლის 06 ოქტომბრის N452 დადგენილების მიხედვით, კერძოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებული არ იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლამ წარმოადგინა მიწერილობა და შესაბამისობის გეგმით განისაზღვრა შეთანხმების ვადა - 23/12/22025-.23.12.2026 წ.წ. სკოლას მიეცა შესაბამისი **რეკომენდაცია** - შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (23/12/22025-.23.12.2026 წ.წ.) უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთან.

დაწესებულება საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში ზრუნავს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოებაზე. დირექტორის მ.შ - ის 2024 წლის 12 სექტემბრის MES9242-41 ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი. სკოლას არ ჰყავს მანდატური, მაგრამ დასაქმებულთა და მოსწავლეთა ფიზიკურ დაცვას და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სკოლის 2 დარაჯი.
სკოლა აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით. შიდა პერომეტრზე დამონტაჟებულია 7 ვიდეო კამერა. გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული 5 ვიდეო კამერა სრულად ვერ აკონტროლებდა სკოლის ტერიტორიას. აღნიშნული ხარვეზი **გამოსწორებულია** და სკოლის მიერ_ სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გამოგზავნილ წერილთან (MES 6260000523616) ერთად წარმოდგენილია შემდეგი მტკიცებულებები: შესყიდვებისა და მონტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ფოტომასალით. სკოლის შიდა პერიმეტრისა და ეზოსთვის ასევე შემუშავებულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. ეზოს მორიგე მასწავლებელი პასუხისმგებელია უცხო პირთა სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლასა და გადაადგილებაზე. რაც შეეხება სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას: ვიზიტის პერიოდში სკოლის ორივე სართულზე გამოკრული იყო შპს,,მეგა ჰოულდინგის (ს/კ 405237765) მიერ შესრულებული საევაკუაციო გეგმა და დამუხტული ცეცხლმაქრები. სკოლამ 2025 წლის 25 დეკემბერს წერილით MES 2 25 0001839234 მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 2022 წელს მოხდა სკოლის სახანძრო - ტექნიკური შემოწმება, რომლის საფუძველზე სკოლამ მიიღო რეკომენდაციები. მიმდინარე პერიოდისათვის მათი ნაწილი შესრულებულია, თუმც, **შესასრულებელია რიგი რეკომენდაციებისა.** სკოლის მენეჯმენტის განმარტებით, აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაწესებულებას **არ აქვთ საკმარისი რესურსი.**

შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 24 დეკემბრის მიწერილობა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში და შესაბამისობის გეგმით განისაზღვრა შეთანხმების ვადა - 23/12/22025-.23.12.2026 წ.წ. დაწესებულებას მიეცა **რეკომენდაცია** შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (23/12/22025-.23.12.2026 წ.წ.) წარმოადგინოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა შემდეგი **რჩევა:** სასურველია, დაწესებულებამ აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც გაუწევს შესაბამის მომსახურებას.

<u>აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულებას ჰქონდა 2 ხარვეზი: ა) სკოლის გარე პერიმეტრი სრულად არ კონტროლდება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით ბ) სკოლას სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით 2022 წელს მიღებული რეკომენდაციების ნაწილი ჯერ კიდევ შესასრულებელი ჰქონდა და ვერ აკმაყოფილებდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.</u>
ა) სკოლის გარე პერიმეტრის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვასთან დაკავშირებით დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაზე წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულება.
ბ)არგუმენტირებული პოზიციის სახით სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დგინდება, რომ სკოლამ სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრა შესაბამისი აქტივობები, პ/პირები და შესრულების ვადები (23/12/2025 – 23/12/2026). გამომდინარე აქედან, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და გახდა ,,მეტწილი“

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

შენობის პირველ სართულზე განთავსებული სამედიცინო მომსახურების კაბინეტი აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებლი ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში ფუნქციონირების წესის“შესაბამის მოთხოვნებს. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით და მედიკამენტებით. ექიმმა წარმოადგინა გაწეული სამედიცინო მომსახურების, სამედიცინო შემთხვევების, დახარჯული და ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის ჟურნალები.
სკოლას პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სკოლის ექიმთან, რომლის **კვალიფიკაციაც არ შეესაბამება კანონმდებლობის** მოთხოვნებს (იხ. ინდიკატორი 3.1.2.4.). აღნიშნულ პოზიციაზე სკოლას დირექტორის მ.შ. 2026 წლის 9 თებერვლის N 2-09 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულია სკოლის ექიმის ვაკანტური ადგილის შესავსებად ღია კონკურსი, ხოლო 2026 წლის 13 თებერვლის დირექტორის მ.შ. ბრძანებით N 2-10, კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია საკონკურსო კომისია. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმით სკოლის უზრუნველყოფა განსაზღვრულია 2026 წლის 23 დეკემბრამდე.

აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, სკოლამ მიიღო **შემდეგი რეკომენდაცია:** უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვით (23/12/2025 – 23/12/2026წწ.) სამედიცინო პერსონალის დასაქმება კანონმდებლობით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი. დირექტორის მ.შ - ის 2024 წლის 12 სექტემბრის MES9242-41 ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების მოთხოვნების გათვალისწინებით.
სკოლას ასევე ჰყავს დირექტორის მ.შ. -ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (08/10/2025, MES1250000002-46) შექმნილი კოლეგიური ორგანო -მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.
სკოლის მრჩეველთა საბჭოს N2 სხდომის ოქმით (27/05/2025) დასტურდება, რომ განხილულია სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხები. კერძოდ, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ანგარიშით შეჯამებულია 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განხორციელებული საქმიანობების შედეგები (შიდა და გარე ტერიტორიის დაცვა და კონტროლი, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მონიტორინგი, მოსწავლეთა სკოლაში დასწრებისა და დროულად გამოცხადების მონიტორინგი, ვიდეო კამერების მონიტორინგი, მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის პრევენცია, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია). სკოლა მიმდინარე წელსაც გეგმავს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საქმიანობის შეჯამებას და შესაბამისი პრევენციული და მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, მაგრამ თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ქმნის მშვიდ და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ზრუნავენ და თანამშრონლობენ ერთმანეთთან, ტარდება აქტივობები, რომელთა მიზანია ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ

ცნობიერების ამაღლება. დამრიგებლის საათებზე განიხილება მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი თემები. თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია მანდატურის სამსახურის ფსიქო სოციალური მომსახურების ცენტრის ცხელი ხაზის ნომერი. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც მუშაობს სსსმ მოსწავლებთან. შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისი რეგულაცია, ჰყავს მოსწავლეთა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ყურადღებით აკვირდება და თანამშრომლობს კლასის დამრიგებლებთან. მოსწავლეთა ქცევის ცვლილების შემთხვევაში სკოლა მზად არის რეფერირების წესით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ზედამხედველობას უწევს ექიმი. სკოლას ემსახურება 1 მეეზოვე და 2 დამლაგებელი. ნარჩენების გატანაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს სკოლის მიმდებარე ტერიტორიის სისუფთავეს. დამლაგებლებთან და მეეზოვესთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, ბიუჯეტში გაწერილია თანხა ჰიგიენური საშუალებების შესყიდვისათვის. სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა შენობის სანიტარული მდგომარეობა და სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის მთელ ტერიტორიაზე დაცულია ჰიგიენური ნორმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

დირექტორი მ.შ. 2025 წლის 22 დეკემბრის N 2-63 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომელიც აწესრიგებს სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს, ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ, სკოლის სახელით მოქმედ ნებისმიერ პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებ გვერდზე pdps.ge ასახულია ინფორმაცია სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი/განსაზღვრული პირის შესახებ. სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება დაცულ, ჩაკეტილ ცეცხლგამძლე კარადაში. მშობლებმა, ექპერტთა ჯგუფთან შეხვედრისას, აღნიშნეს რომ სკოლა მათი თანხმობის გარეშე არ აზიარებს მოსწავლეთა პერონალურ მონაცემებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას ჰყავს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის შენახვა-დამუშავების და გაცემის წესის დაცვას. მოსწავლის პირად საქმეები დაცულია კლასის დამრიგებლის პასუხისმგებლობით. შემუშავებული და დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლიდან ინფორმაციის მისაღებად მსურველი მიმართავს დირექტორს განცხადებით, რომელიც დაუყოვნებლივ რეგისტრირდება სკოლის eflow სისტემაში და ენიჭება შესაბამისი ნომერი.
სკოლის კომპიუტერულ ტექნიკაზე დაყენებულია ლიცენზირებული პროგრამები და ანტივირუსული სისტემები, რითაც დაცულია ინფორმაცია ინტერნეტ საფრთხეებისაგან.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

დაწესებულებას დოკუმენტურად გაწერილი აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების ფორმები და გზები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, სკოლა მის ხელთ არსებული დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად გეგმავს ყოველწლიურად შეაფასოს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირება და შედეგები გამოიყენოს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. ამ მიზნით მიმდინარე წელს ჩატარებულია სამუშაო შეხვედრა დამრიგებლებთან, კლასის საათი მოსწავლეებისათვის და სხვა.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ . -ის ბრძანება უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი N2
- შინაგანაწესი
- ბრძანება უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ
- მიმართვა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან

- მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ . -ის ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ . -ის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ
- პერსონალის წერილობითი თანხმობა
- ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

საბუეს საჯარო სკოლა მდებარეობს სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტში მისამართზე სოფელი საბუე, პირველ ქუჩა N52.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერით სკოლას (ს.კ. N 57.09.55.000.021) 2015 წლიდან საკუთრებაში უფიქსირდება 8683.00კვ.მ. აქედან, შენობა ნაგებობების საერთო ფართით N1 – 3799.5კვ.მ, N2 – 47კვ.მ, N3 34,4კვ.მ.

სკოლის შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 1975 წელს, ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2006 წელს. სკოლა სამსართულიანია (დამატებით აქვს ნულოვან სართულზე განთავსებული სარდაფი). ვიზიტის პერიოდში სკოლა ფუნქციონირებისათვის იყენებდა მხოლოდ პირველ და მეორე სართულებს. სარდაფი და მესამე სართული დაგვხვდა გადაკეტილი, ვინაიდან აღნიშნული სივრცეები საჭიროებდნენ რეაბილიტაციას, ხოლო მოსწავლეთა არსებული რაოდენობისათვის სკოლის შენობის 2 სართულიც საკმარისი იყო. აღნიშნულ ფართში განთავსებული საკლასო ოთახების რაოდენობა შეესაბამება კლასების რაოდენობას (12 საკლასო ოთახი), კომპიუტერული ლაბორატორია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით, რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი, დახურული სპორტული დარბაზი საჭირო ინვენტარით, სააქტო დარბაზი, სამასწავლებლო, ასევე სასკოლო შიდა და გარე სივრცე იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების/ღონისძიებები ჩატარებისათვის. სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ის მოძველებულია და წლების განმავლობაში არ განახლებულა. აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა წერილით მიმართა საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროს მცირე პროექტების ფარგლებში სკოლისათვის პირველ და მეორე სართულზე ასასვლელი პადუსებისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების მოწყობასთან დაკავშირებით (MES 7 25 0001847131, 26/12/2025). შესაბამისობის გეგმით საკითხის მოსაგვარებლად განსაზღვრულია 23/12/2025-23/12/2026 წლები.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, დაფებით, მასწავლებლის მაგიდით და სხვა. სკოლას აქვს პროექტორი, პრინტერები, პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები. სკოლაში სასწავლო პროცესი ერთცვლიანია და ამ ეტაპზე 150 მოსწავლე სწავლობს. სკოლას აქვს უწყვეტი წყალმომარაგება, უზრუნველყოფილია დენით და ცენტრალური გათბობით. დიდი და ნათელი დერეფნები შესვენების პერიოდში მოსწავლეებს სრულფასოვანი დასვენებისა და სოციალური ინტერაქციის შესაძლებლობას აძლევს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის მენეჯმენტის განმარტებით და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე ხშირია საინტერესო ღონისძიებები, ექსკურსიები, ინტეგრირებული გაკვეთილები და სხვა აქტივობები. მუდმივად ტარდება სპორტის მიმართულებით სხვადასხვა აქტივობები. კერძოდ, პარტნიორი სკოლის მოსწავლეების თანამონაწილეობით ფრენბურთის, ფეხბურთის და კალათბურთის სახეობებში სასკოლო და რაიონული შეჯიბრები. სასკოლო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის სხვა მატერიალური რესურსიც (ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, კომპიუტერების ლაბორატორია და სხვა).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

საბუეს საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დირექტორის მ. შ.-ის ბრძანება N 2-62, 21/12/20256), რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ბიბლიოთეკაში არსებული მატერიალური რესურსების აღრიცხვა/დამუშავება, სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ საბიბლიოთეკო სერვისისა და მასში განთავსებული ლიტერატურის გამოყენების ხელმისაწვდომობა. სკოლას აქვს 5573 წიგნისგან შემდგარი წიგნადი ფონდი ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და მასთან გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლაში ვიზიტის პერიოდში სწავლობდა 3 სსსმ მოსწავლე. რესურს ოთახი აღჭურვილია შესაბამისი რესურსით. პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილები. რაც შეეხება **სკოლის გარე თუ შიდა სივრცეებს - არ არის ადაპტირებული (სკოლას არ აქვს პანდუსები) და არ ქმნის ინკლუზიურ გარემოს.** აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა წერილით მიმართა საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროს, მცირე პროექტების ფარგლებში, სკოლისათვის პირველ და მეორე სართულზე ასასვლელი პადუსების მოწყობასთან დაკავშირებით (MES 7 25 0001847131, 26/12/2025). შესაბამისობის გეგმით სკოლა აღნიშნული საკითხის მოგვარებას გეგმავს 23/12/2025 – 23/12/2027 პერიოდში.

რეკომენდაცია: <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია ლიფტის და ან პანდუსების მოწყობა უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ პერიოდში (23/12/2025 – 23/12/2027)</u>

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი საშუალებას იძლევა სასკოლო სივრცეები სასკოლო საზოგადოება ინტერესების გათვალისწინებით იქნეს გამოყენებული. სპორტული და სააქტო დარბაზები, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, ნათელი დერეფნები სხვადასხვა პროექტების, აქტივობების, ღონისძიებების ჩატარების საშუალებას იძლევა. სკოლის ეზოში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით მოწყობილია ღია სივრცე, სადაც ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის წერილი საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროს (MES 7 25 0001847131, 26/12/2025)
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო პარამეტრების და საკმარისი რაოდენობის ტექნიკით. 2025 წლის 1 სექტემბრის მიღება - ჩაბარების აქტით დგინდება, რომ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან სკოლას პირველკლასელთათვის გადაეცა 12 ცალი პორტაბელური კომპიუტერი. სულ სკოლას აქვს 32 ცალი პორტაბელური კომპიუტერი, 10 ცალი პერსონალური კომპიუტერი, 5 ცალი პრინტერი, 1ცალი პროექტორი.
სკოლის wi-fi ქსელით შესაძლებელია უწყვეტი ინტერნეტის გამოყენება. სკოლაში არსებული კომპიუტერები პროგრამულად გამართულია და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს.
საბუეს საჯარო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესით განსაზღვრულია კომპიუტერული ლაბორატორიის მიზნები, ლაბორატორიით სარგებლობის წესები, ტექნიკასთან მუშაობის, უსაფრთხოების, კიბერ ეთიკის საკითხები და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც აღწერილი სკოლის საზიარო სივრცეების გამოყენების წესი. მოსწავლეებს და მასწავლებლებს თანაბრად აქვთ კომპიუტერულ ტექნიკაზე წვდომის უფლება. მასწავლებლები ტექნიკით სარგებლობის საჭიროებას უთანხმებენ სკოლის დირექციას.

მოსწავლეთა თვითმმართველობა დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში, დირექტორთან შეთანხმებით, სარგებლობს სკოლის კომპიუტერული ტექნიკით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ტექნიკის შესყიდვების დოკუმენტაცია(მიღება-ჩაბარების აქტები)
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას, კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი (დირექტორის მ/შ/ ბრძანება N 2 - 64 (22/12/2925). აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია გამოცემული აქტების და კორესპონდენციების აღრიცხვის პროცედურები, ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპოდენციაზე რეაგირების პერიოდები, განსაზღვრულია მოქალაქეთა წერილების მიღება და განხილვა, განსაზღვრულია თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოების, დოკუმენტაციის წარმოების, რეგისტრაციის წესი და ა.შ. სკოლას ასევე აქვს ხელშეკრულებების აღრიცხვის, შემოსული და გასული წერილების მატერიალური ჟურნალები. აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ, ბეჭედდასმული და აკინძულია. მათი სანდოობა და მთლიანობა უზრუნველყოფილია. სკოლას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქმისმწარმოებელთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა, როგორც შიდა ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eSchool. საქმისწარმოების წესის 23-ე მუხლით განსაზღვრულია სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული

სისტემა. დაწესებულების ყველა მასწავლებელს აქვს აქტიური eflow-სისტემა, ცენტრალიზებულად შექმნილია ელექტრონული ფოსტები @teachers.gov.ge, რომლის საშუალებითაც ისინი რეგისტრირდებიან მასწავლებელთა პროფესიული ცენტრის მიერ გამოცხადებულ სავალდებულო ტრენინგებზე. დაწესებულება ასევე იყენებს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს: Google, Office 365 და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

საბუეს საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადების დაცვით სრულყოფილად ასახავს საჭირო ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში: სკოლის ბარათი, პერსონალის მონაცემები, მოსწავლეთა გადანაწილება კლასებში, საგაკვეთილო ცხრილები, საშტატო განრიგი, არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და საქმისმწარმოებლის განმარტებით, სკოლა თანამშრომლობს და სისტემატიურად აწვდის ინფორმაციას, ანგარიშებს და უკუკავშირს საგანმანთლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს (რაც შესწავლილი მასალებითაც დასტურდება).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის საქმის წარმოების წესი
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ.- ის ანგარიშები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

საბუეს საჯარო სკოლას აქვს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შექმნილი გვერდი სკოლების პორტალზე -სკოლის გვერდი განათლების სამინისტროს პორტალზე, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სოციალური ქსელში სკოლას აქვს თავისი Facebook გვერდი, სადაც რეგულარულად ანახლებს ინფორმაციას. გარდა ამისა, სკოლა საზოგადოების ინფორმირებას ახდენს როგორც პირისპირ შეხვედრებით, ასევე სოციალური ქსელების facebook-ის და X (twitter)-ის გვერდების საშუალებით. სკოლას საკომუნიკაციო საშუალებად გამოყენებული აქვს საინფორმაციო დაფა, სადაც განთავსებულია სკოლის ფილოსოფია და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციები. განსაზღვრულია ვებ გვერდსა და სოციალური ქსელში ობიექტური ინფორმაციის დროულ განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი მოვალეობები.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, დაწესებულება ეყრდნობა ოფიციალური სტრუქტურებიდან მიღებულ სანდო ინფორმაციას და კანონმდებლობის შესაბამისად ახდენს მის გასაჯაროებას. პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულად განთავსებას სკოლის ვებგვერდზე - სკოლის გვერდი განათლების სამინისტროს პორტალზე
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს დაწესებულების საკომუნიკაციო არხებიდან, მათ შორის ინდივიდუალური შეხვედრებიდან, სატელეფონო საუბრებიდან და ა.შ. შემოსულ ინფორმაციებს, ითვალისწინებს საზოგადოების/თემის მოსაზრებებს და იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მიმდინარე წელს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებული ინფორმაციების საფუძველზე დაიგეგმა ექსკურსიები, აქტივობები, სპორტული შეჯიბრებები და სხვა.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შექმნილი მოქმედი ვებ გვერდი სკოლის გვერდი განათლების სამინისტროს პორტალზე, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სოციალური ქსელშიც სკოლას აქვს თავისი Facebook გვერდი სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე (სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

https://skolebi.emis.ge/-ზე განთავსებულია ინფორმაცია სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის შესახებ შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, სტრუქტურა, მოსწავლის ქცევის წესები, პირველკლასელთა ლიმიტი და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლის ვებ გვერდზე არ იყო განთავსებული ინფორმაცია მოსწავლეთა პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების შესახებ. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციის წარმოდგენისას ვებ გვერდზე განათავსა შესაბამისი ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი „არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა „შესაბამისობით“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის გვერდი სკოლების პორტალსა და სოციალურ ქსელში
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. - ის ბრძანება საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმართვის ნაწილში პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ძირითად შემოსავალს შეადგენს ვაუჩერული დაფინანსება. თანხები ხმარდება სახელფასო ფონდს, კომუნალურ ხარჯებს, სანეტარულ-ჰიგიენური საშუალებების და საგანმანათლებლო რესურსების შეძენას და მცირე ნაწილი - თანამშრომელთა პრემიებს. სკოლის ფინანსური რესურსის განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თანხებით. დირექტორის მ.შ. სასკოლო საზოგადოებას წლის ბოლოს წარუდგენს ანგარიშს. სკოლის ბუღალტრის განმარტებით, წლის განმავლობაში მომხდარი ფინანსური ცვლილებების მიხედვით ხდება ბიუჯეტის კორექტირება. სკოლას დამატებითი შემოსავალი აქვს ცეკვის წრიდან.
2026 წლის ბიუჯეტში სკოლის განვითარებისთვის განსაზღვრული თანხები ხელს უწყობს სკოლის სტრატეგიულ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლა ფინანსურ რესურსებს განკარგავს კანონმდებლობის შესაბამისად. წლის ბოლოს (ნოემბერში) დირექტორის მ.შ. ამტკიცებს მომავალი წლის შესყიდვების გეგმას, რომელიც შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე და იტვირთება spa.ge-ზე. შესყიდვების გეგმის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება (მასწავლებლები, ექიმი, ბიბლიოთეკარი, კათედრის გამგეები და სხვა), რომლებიც წინასწარ წარმოადგენენ მათთვის საჭირო რესურსების ჩამონათვალს. ყოველი თვის დასაწყისში სკოლის დირექცია ახორციელებს წინა თვის შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგს, რაც ხელს უწყობს ბიუჯეტის თანხების სწორ განკარგვას. შემსყიდველ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მიღება–ჩაბარების აქტები, ანგარიშ ფაქტურები, ზედნადებები ადასტურებს სკოლაში ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემის არსებობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ბუღალტრის ანგარიში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებულია შიდა რეგულაციები და ხორციელდება პრევენციული ღონისძიებები. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შესაბამისი განმარტებები და მექანიზმები აღწერილია შემდეგ დოკუმენტებში: სკოლის შინაგანაწესი, ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის, ბავშვთა დაცვის (რეფერირების) პროცედურები, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მრჩეველთა საბჭოს დებულებები. დირექციის, დამრიგებლისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისა და მშობლებისთვის სამართლებრივი უსაფრთხოების გაძლიერებას უწყობს ხელს. სკოლის მოსწავლეებთან ავტორიზაციის ექსპერტების გასაუბრების პროცესში დაზუსტდა, რომ უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მოსწავლეები დაუბრკოლებლად მიმართავენ კლასის დამრიგებელს, საჭიროების შემთხვევაში კი სკოლის ადმინისტრაციას.

აღსანიშნავია, რომ სკოლაში ხორციელდება პრევენციული ხასიათის რიგი აქტივობები, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა უფლებების დაცვას, კერძოდ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის არსებობა და სკოლის შენობაში მასწავლებელთა რეგულარული მორიგეობის პრაქტიკა უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს ყოველდღიურ კონტროლს და მოსწავლეთა უფლებების რეალურ დაცვას. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის განმავლობაში რეგულარულად აცნობენ/განუმარტავენ მოსწავლეებს უფლებებსა და მოვალეობებს. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირს შემუშავებული აქვს მრავალფეროვანი აქტივობების გეგმა, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინფორმირებას სკოლაში არსებული მექანიზმების შესახებ, ასევე ზრუნავს ემპათიური და მხარდამჭერი გარემოს ჩამოყალიბებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სპეციალური მასწავლებლის ჩართულობა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეების ინკლუზიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში და განათლების უფლების დაცვას. აღნიშნული სისტემური მიდგომები ადასტურებს, რომ სკოლა შიდა რეგულაციებში გაწერილი ვალდებულებების შესრულებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საბუეს საჯარო სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრებისა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია მოსწავლეთა უფლებები, მათი დაცვის მექანიზმები და რეგულაციები, რაც მათი ეფექტიანი აღსრულების საფუძველს ქმნის. მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ამ მიზნით ტარდება საინფორმაციო შეხვედრების, მათ შორის კლასის საათისა და მშობელთა კრებების ფარგლებში. მოსწავლეთა უფლებების შესახებ ინფორმაცია ასახულია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. ეფექტიან საკომუნიკაციო სივრცედ, სკოლა სოციალურ ქსელში შექმნილ დახურულ ჯგუფებს ასახელებს, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეებსა და მშობლებს უზიარებს საჭირო ინფორმაციას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობელსა და სკოლას შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ, ინფორმირებულ შეთანხმებას სხვადასხვა რეგულაციებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. -ის ბრძანება N2-53
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- მშობელსა/კანონიერ წარმომადგენელსა და სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების შაბლონი
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქცია
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის სადამრიგებლო პროგრამები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

საბუეს საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი (დამტკიცებულია სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. 2025 წლის 22 დეკემბრის N 2-64 ბრძანებით. წესი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლასა და მოსწავლის მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლს შორის დადებული ხელშეკრულების მე - 5 მუხლით განსაზღვრულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი (ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მოსწავლის მიერ სწავლის დასრულებამდე). განსაზღვრულია ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტის საფუძველები, მოსწავლის სტატუსის შეჩერება, სკოლიდან ამორიცხვა და ა.შ.
საფეხურის დაძლევის პირობები აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა მოსწავლეთა რეგისტრაციის პროცესში არ აწესებს ბარიერებსა და განსაკუთრებულ პირობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის მ.შ.-ის განმარტებით დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს. შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ, სკოლის დირექტორის მ.შ-ის მიერ გამოიცემა ბრძანება როგორც მოსწავლეთა ჩარიცხვის, ისე მოსწავლეთა მიერ საფეხურის დაძლევის შესახებ. სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამოცდილემა მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას არ ჰქონია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომ**

სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მის წინაშე ანგარიშგებისთვის სკოლის დირექტორის მოადგილის განმარტებით, სკოლის დირექციის, მასწავლებლების, დამრიგებლების მიერ სისტემატიურად ხდება სასკოლო საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა გასულ წელს ჩატარებული მშობელთა კრების ოქმი N4 (09/06/2025), სადაც განხილულია მეორე უცხოური ენის არჩევის საკითხი (საგნის არჩევის დღისა და პროცედურების შესახებ მშობლების ინფორმირებას ახდენენ დამრიგებლები). მომდევნო წლიდან იგეგმება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, რის საფუძველზეც განისაზღვრება არჩევითი საგნების ნუსხა. ინფორმაციის გავრცელების პროცესში სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების გავრცელების წესს, თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპებს. სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია დისციპლინურ სახდელებსა და უფლება-მოვალეობებზე გაწერილია სკოლის შინაგანაწესის შესაბამის მუხლებში, რომლის გაცნობის ვალდებულებასაც მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აკისრებს ხელშეკრულების მე-11 მუხლი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის შინაგანაწესი ძირითადი დოკუმენტია, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომისათვის განკუთვნილი სახდელები და წახალისების ფორმები. შინაგანაწესით რეგულირდება მოსწავლის უფლებები და პასუხისმგებლობები. სასკოლო პოლიტიკა არადისკრიმინაციულია, დაცულია თანასწორობის პრინციპები და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი
- მშობელთა კრების ოქმი უცხო ენის არჩევასთან დაკავშირებით

- სსსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებულია და მოქმედებს სკოლის დირექტორის მ.შ -ის 2025 წლის 22 დეკემბერს ბრძანება N2-64 დამტკიცებული „მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის წესი“,რომელიც აღწერს იმ სტრატეგიებსა და მიდგომებს, რომლებიც კლასის დამრიგებელმა და სხვა პედაგოგებმა უნდა გამოიყენონ პირველკლასელი, ახალი მოსწავლის, სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესში. დოკუმენტში განსაზღვრულია წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები,გაწერილია შესაბამისი რეკომენდაციები წარმატებული სოციალიზაციის პროცესისათვის. დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ გზამკლევს, რომელიც დაეხმარება როგორც პირველი კლასის, ისე სკოლაში გადმოსული ყველა ახალი მოსწავლის დამრიგებელს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სასკოლო საზოგადოების გამოკითხვით და წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშემწყობი მრავალწლიანი პოზიტიური პრაქტიკა. პირველკლასელთა ეფექტიანი ადაპტაციისთვის სკოლა თანამშრომლობს სოფელში მდებარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებასთან. კერძოდ, დაწყებითი კლასის დამრიგებელი მონაწილეობს მომავალი მოსწავლეების გამოსაშვებ ღონისძიებაში. გარდა ამისა, სასკოლო

მზაობის ჯგუფის წევრები ესწრებიან მე-4 კლასის დამამთავრებელ ღონისძიებას, რის შემდეგაც ათვალიერებენ სასკოლო ინფრასტრუქტურას და ეცნობიან სასკოლო გარემოს. ასეთი მიდგომა ზრდის სკოლის მიმართ ბავშვების პოზიტიურ განწყობას, ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას და აძლიერებს სასწავლო პროცესის მიმართ მათ მოტივაციას. სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმის შესაბამისად, ახალი მოსწავლის ადაპტაციისთვის კლასის დამრიგებელი წინასწარ სწავლობს მოსწავლის საჭიროებებს და მიგნებების შესაბამისად გეგმავს ეფექტიანი ინტეგრაციის პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სასწავლო ნაწილისა და მოსწავლეთა მშობლების განმარტებით სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის სასკოლო სასწავლო გეგმაში განმარტებულია შესაბამისი მექანიზმები. დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების საჭიროებები პედაგოგებმა განიხილეს მიმდინარე წლის პირველი სემესტრის შემაჯამებელ შეხვედრებზე. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის პედაგოგისა და სახელმწიფო ენის პედაგოგების მიერ იდენტიფიცირდა ორი მოსწავლე, რომლებიც საჭიროებდნენ ინდივიდუალუ მხარდაჭერას. აღნიშნული მოსწავლეები მიმდინარე სემესტრში ჩაერთვნენ რემედიაციის პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები და მიმდინარეობს დამატებითი შეხვედრები. პროგრამის ეფექტიანობის შეფასება დაგეგმილია სემესტრის ბოლოს. ამასთან, რემედიაციის პროგრამაში ჩართული პედაგოგები გეგმავენ კოლეგებთან თანამშრომლობის გაღრმავებას, რათა სხვა საგნებშიც მოხდეს მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა. აღნიშნული სისტემური და მიზანმიმართული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას და აკადემიური შედეგების თანმიმდევრულ გაუმჯობესებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეთა მხარდამჭერი მექანიზმების საჭიროებისას, სკოლა შესაბამისად რეაგირებს დოკუმენტებში განსაზღვრული რეგულაციებისა და წინასწარ დადგენილი ვადების შესაბამისად. მოსწავლეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისა და ხელშეწყობისთვის სკოლის ადმინისტრაცია დროულად რეაგირებს როგორც მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანის, ისე მშობელთა განცხადებებსა და ინიციატივებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ჩართულობით ეფექტურად უზრუნველყოფს დამატებითი და არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. კერძოდ, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ჩამოყალიბებულია სასკოლო კლუბები „სუფთა დედამიწა“ და „მე მიყვარს კითხვა“, რომელთა საქმიანობა მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული გეგმების შესაბამისად, რაც ავითარებს მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობას, ლიდერულ და ორგანიზაციულ უნარებს. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით მოეწყო სკოლის ფორმის ესკიზების კონკურსი. გარდა ამისა, საგნობრივი კათედრების მიერ ხორციელდება პროექტები, რომლებიც ინტეგრირებულია სასკოლო კურიკულუმში, ხელს უწყობს ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მოსწავლეთა და მშობელთა განმარტებით, ყოველ სასწავლო წელს სკოლა ისტორიული ადგილების მოსანახულებლად გეგმავს ექსკურსიებს. აქტივობის მიზანი და დღის წესრიგი წინასწარ შეთანხმებულია მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და ინფორმაციის გაცნობა დასტურდება ხელმოწერით, რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობასა და უსაფრთხოებას. მოსწავლეთა და მშობელთა განმარტებით, სკოლის ადმინისტრაცია სხვადასხვა კონკურსისა და ჩემპიონატის შესახებ, სისტემატურად აწვდის ინფორმაციას სამიზნე ჯგუფებს, რის საფუძველზეს მსურველები ერთვებიან შემოთავაზებულ აქტივობებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრების აქტიურია სპორტული წრეების (ფრენბურთი, ფეხბურთი) საქმიანობა.

სკოლის ბაზაზე ასევე ფუნქციონირებს ცეკვის წრე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. მრავალფეროვანი აქტივობები ქმნის მოტივაციურ, მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოს, სადაც წახალისებულია ინიციატივა და თვითრეალიზაცია, რაც პირდაპირ აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე, სოციალურ უნარებსა და აუმჯობესებს მიკუთვნებულობას სკოლის მიმართ.

სკოლა გამოთქვამს მზაობას სკოლის ბიუჯეტში გამოყოს ფულადი რესურსი მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლაში ვიზიტის ფარგლებში მოსწავლეებსა და მშობლებთან გამართული შეხვედრის ფარგლებში, სკოლის ძლიერ მხარედ არაფორმალური აქტივობების მრავალფეროვნება დასახელდა. მშობელთა კრებებსა და კლასის საათის ფარგლებში დამრიგებლები აგროვებენ ინფორმაციას სამიზნე ჯგუფების კმაყოფილების შესახებ. მომდევნო წლიდან სკოლა გეგმავს

დანერგოს შეფასების იმგვარი პროცესი, რომელიც ემპირიული მონაცემების შეგროვებით განსაზღვრავს მოსწავლეთა მომსახურების ხარისხს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის საბუეს საჯარო სკოლაში მოსწავლის ადაპტაციის წესი
- ინდივიდუალური მუშაობის გეგმა
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის საბუეს საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- დაწყებითი საფეხურისა და სახელმწიფო ენის კათედრების სხდომის ოქმები
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. ბრძანება N2-48 (ექსკურსიის ჩატარების შესახებ)
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის საბუეს საჯარო სკოლის X კლასში განხორციელებული ექსკურსიის ანალიზი
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის საბუეს საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომების N2, N3 ოქმები
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის საბუეს საჯარო სკოლის სასკოლო კლუბების „ჩვენ გვიყვარს კითხვა“, „სუფთა დედამიწა“ დებულებები, სამოქმედო გეგმები
- 2025 წელს საბუეს საჯარო სკოლის სკოლის მიერ განხორციელებული არაფორმალური ღონისძიებები (PTT ფაილი)
- განცხადება ცეკვის წრის შესახებ
- ხელშეკრულება ცეკვის წრის კოორდინატორთან

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

საბუეს საჯარო სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. დამრიგებლებისა და პედაგოგების ჩართულობით მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ. განხორციელებული აქტივობები, მათ შორის პროფესიული ორიენტაციის შეხვედრები, ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშემეცნებას, ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას და

სამომავლო კარიერული გზის გააზრებულ დაგეგმვას. აღსანიშნავია სპორტისა და ესთეტიკის კათედრისა და ტექნოლოგიების პედაგოგის აქტიურობა ამ მიმართულებით. მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში ხელოვნებისა და უცხოური ენების საგნების ინტეგრირებით განხორციელდა საკლასო პროექტი, რომლის ფარლებშიც მოსწავლეები გაეცნენ გიდის და ფოტოგრაფის პროფესიებს. შეხვდნენ ქართველ ფოტოგრაფს ნათელა გრიგალაშვილს და დასვეს პროფესიის შესახებ მათთვის საინტერესო შეკითხვები. ტექნოლოგიების პედაგოგი სისტემატურად აცნობს მოსწავლეებს ინფორმაციას მომავლის პროფესიების შესახებ. მსურველ მოსწავლეებს კი შეასწავლა კოდირება. სკოლას აქვს პროფესიულ სასწავლებელთან თანამშრომლობის პოზიტიური გამოცდილება. გასულ სასწავლო წელს სკოლაში მიმდინარეობდა პროგრამირების კურსი. აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ სკოლის მოსწავლეთა ნაწილმა გააგრძელა თანამშრომლობა პროფესიულ სასწავლებელთან და მომავალ კარიერას ამ სფეროს უკავშირებს. სკოლის მხრიდან ძირითადად, უზრუნველყოფილია ჯგუფური კონსულტაციები, თუმცა, სასურველია სკოლამ შეიმუშაოს სისტემური ხედვა კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ, რომელშიც გაითვალისწინებს ადგილობრივ თემში დასაქმებისა და პროფესიული ორიენტაციის შესაძლებლობების გაცნობას, ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამ მიზნით, სკოლაში იმართება უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენელთან შეხვედრები. სკოლა ცდილობს საშუალო საფეხურის მოსწავლეების ვიზიტების ორგანიზაციას ზემოთ ხსენებულ სასწავლებლებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს, რაც გამოიხატება კარიერული დაგეგმვის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების განვითარებაში. სკოლა სისტემატურად უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას ზოგადი განათლების

შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი შესაძლებლობების შესახებ. ინფორმაციის მიღება, ძირითადად დაკვირვების მეთოდის გამოყენებით ხდება. სასურველია, სკოლამ კმაყოფილების კვლევის ფარგლებში გაითვალისწინოს აღნიშნული კომპონენტიც, რათა მიღებულ უკუკავშირსა და შედეგებზე დაყრდნობით გაუმჯობესდეს მომსახურების ხარისხი.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის სადამრიგებლო პროგრამები
- სსსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის სპორტისა და ესთეტიკის კათედრის მასალები
- საინფორმაციო ტექნოლოგიების პედაგოგის პორტფოლიო

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მკაფიო და სისტემურად ორგანიზებული მექანიზმი, რომელიც ეფუძნება მოქმედ ნორმატიულ ჩარჩოს. სკოლას ჰყავს 1 სპეციალური მასწავლებელი და თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი, რომელშიც შედიან მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, სპეციალური მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი და შესაბამისი საგნის პედაგოგები.
სსსმ მოსწავლის იდენტიფიკაცია და მხარდაჭერა ხორციელდება ეტაპობრივად: თავდაპირველად საგნის მასწავლებელი და დამრიგებელი სწავლაში გამოვლენილი სირთულეების შემთხვევაში მიმართავენ სპეციალურ მასწავლებელს და ერთობლივად ამუშავებენ პირველადი მხარდაჭერის გეგმას. საჭიროების შემთხვევაში, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს მოსწავლის შეფასების მიზნით.
შესაბამისი მასალების გაცნობით დგინდება, რომ აღნიშნული პროცესი შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამის რეგულაციებს და უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების დანერგვას, განვითარებასა და მონიტორინგს, რაც ადასტურებს, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი არის გამართული, თანმიმდევრული და შედეგზე ორიენტირებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სასკოლო კულტურა ინკლუზიურია და უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობის, თანასწორუფლებიანობის, მიმღებლობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის პრინციპების დაცვას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციასა და აქტიურ ჩართულობას. სკოლაში ირიცხება 3 სსსმ მოსწავლე.

სპეციალური მასწავლებლის განმარტებით, სისტემატურად ხდება მოსწავლის ძლიერ მხარეებზე და საჭიროებებზე, ესწრება გაკვეთილებს, აგროვებს მონაცემებს მშობლისა და დამრიგებლისგან და შეიმუშავებს ინტერვენციის გეგმას, მათ შორის ინდივიდუალურ გრაფიკს სსსმ მოსწავლისთვის, რომელიც განსაზღვრავს კლასში გაკვეთილზე ყოფნისა და რესურს ოთახის გამოყენების დროულობას. გარდა ამისა, სპეციალური მასწავლებელი აქტიურად მონაწილეობს საკლასო აქტივობებში მოსწავლის ჩართვის პროცესში და სთავაზობს რეკომენდაციებს ისგ ჯგუფის წევრებისთვის. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლე პრაქტიკულად იყენებს სკოლაში მიღებულ ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებს, რაც ხელს უწყობს მისი ეფექტიან განვითარებას და მიზნების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუშები
- ადაპტირებული საგნობრივი დავალებების ნიმუშები
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები
- სპეციალური მასწავლებლის ხელშეკრულება და პირადი საქმე
- სპეციალური მასწავლების პორტფოლიო

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების სახით სკოლა ამ ეტაპზე მოსწავლეებს სთავაზობს ცეკვის წრეს. ხელშეკრულება გაფორმებულია ცეკვის წრის ხელმძღვანელსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის. შესაბამისი ხელშეკრულებები გაფორმებულია ცეკვის წრის მასწავლებელსა და მშობლებს შორის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

ცეკვის წრის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე. მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების განმარტებით, ნებაყოფლობითობის პინციპის დავცვით, მსურველები განცხადებით მიმართავენ სკოლის დირექტორს და იღებენ შესაბამის მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ცეკვის წრის მასწავლებელსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის ფარლებშიც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ცეკვის გაკვეთილების მიმდინარეობისას სკოლის შენობის უსაფრთხოებაზე ზრუნავს დარაჯი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულება ცეკვის წრის მასწავლებელთან
- მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლების ცეკვის წრეზე რეგისტრაციის განცხადება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - დაწყებითი საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის	☐ შეესაბამება ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ. მიერ 2025 წლის 8 სექტემბერს N2-39 ბრძანებით დამტკიცებულია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია აღწერს კურიკულუმის შემადგენელ ნაწილებს, პრინციპებს, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმი განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებს (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, განახლება და რევიზია). სასკოლო კურიკულუმი იქმნება თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დამოუკიდებლად და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) საგნობრივ კურიკულუმებს;

ბ) სასკოლო პროექტებს;

გ) სადამრიგებლო საათს;

დ) დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, განახლდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე, კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.

კურიკულუმის განვითარება მოხდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და გაითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.

მეთოდოლოგიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს კურიკულუმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების კოლეგიალურ და შეთანხმებაზე დაფუძნებულ პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმი ეფუძნება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ისე სკოლისა და ადგილობრივი თემის საჭიროებებს/პრიორიტეტებს. კურიკულუმის შემუშავებისა და

რევიზიის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის (მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის) ჩართულობას. ჩართულობა გამოიხატება როგორც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობით. 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, ივნისში დაგეგმილია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით. სკოლის მოსწავლეებსა და მშობლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ პედაგოგებთან, კერძოდ, სთავაზობენ იდეებს საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ და უზიარებენ საჭიროებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმი იქმნება სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით და შემუშავების პროცესში ჩართული არიან მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და ადმინისტრაცია, რომელთა თანამშრომლობა ეფუძნება როგორც მიმდინარე პრაქტიკის ანალიზს, ისე საერთო შეთანხმებას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კურიკულუმში ინტეგრირდება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები, რაც კიდევ უფრო ზრდის მის შესაბამისობას სკოლისა და თემის საჭიროებებთან. სასწავლო ნაწილის განმარტებით, სასწავლო წლის ბოლოს სკოლა გეგმავს სასკოლო კურიკულუმის შეფასებას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სასკოლო საზოგადოების კმაყოფილების კვლევა, დიაგნოსტიკური წერების ანალიზი, კათედრათა მუშაობის ეფექტიანობის შეფასება, აღწერილი პროცესის შემდეგ დაგეგმილია რეკომენდაციების შემუშავება, რომლის საფუძველზეც გადამუშავდება მომდევნო წლის კურიკულუმი. შესაბამისად, სკოლაში მიმდინარე და დაგეგმილი პროცესები იძლევა სასკოლო საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმი შექმნილია მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების და ადმინისტრაციის მონაწილობით და ეფუძნება მათ საერთო ღირებულებებსა და მიზნებს. სწავლების პროცესში მასწავლებლები აქტიურად იყენებენ კურიკულუმს, ხოლო მოსწავლეები და მშობლები იცნობენ მის ძირითად პრინციპებს. კურიკულუმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის სკოლის საინფორმაციო დაფაზე, სოციალურ ქსელებში, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემაში. შესაბამისად, კურიკულუმი ფართოდ არის გაზიარებული და მხარდაჭერილი სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრული შემოქმედებითი დავალებები და აქტივობები შეიცავს გამოწვევას, იწვევს ცნობისმოყვარეობას მოსწავლეებში და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ეს გამოჩნდა შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებში, რომელიც შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. მართალია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, მაგრამ

	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად იგეგმება არაფორმალური აქტივობები - ექსკურსიები და სასკოლო ღონისძიებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმზე მუშაობის დროს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის დროს გაითვალისწინეს მოსწავლეების საჭიროებები, ინტერესები, მშობლემის უკუკავშირი და ეროვნული სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მტკიცებულებებით წარმოდგენილი საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე მიმართულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა-განვითარებაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე ისე, რომ ორიენტირებული იყოს მოსწავლეთა განვითარებაზე.

	კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შემოქმედებითი დავალებების იდეები ისეა შემუშავებული, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლებისას შუალედური მიზნები უკავშირდება შესაბამის სასწავლო შინაარსს. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს. მაგალითად, ანიმაციურ ფილმებს, ილუსტრაციებს, დამატებით საკითხავ მასალას და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში წარმოდგენილი საკითხებითა და ქვესაკითხებით დაფარულია ყველა თემა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ააგოს ახალი ცოდნა და მოახდინოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. დაგეგმილი აქტივობებით აქცენტი კეთდება მოსწავლეზე და მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობისაკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედურ მიზნად განიხილება და უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა შესრულებაც მოსწავლეს უღვივებს ცნობისმოყვარეობას, ხელს უწყობს შემოქმედებითობას და ფანტაზიის უნარს, იწვევს ემოციურ კმაყოფილებას. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებელთან ინტერვიუს დროსაც გამოჩნდა, რომ მას გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებების, ქვეცნებების,

	მკვიდრი წარმოდგენების, საგნობრივი საკითხების, კომპლექსური დავალებების ერთმანეთთან ურთიერთმიმართება და კოლერაცია, საგნის სწავლა-სწავლების ძირითადი მიზნები. კურიკულუმები დაფუძნებულია ესგ-სა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმში მიზნები მუშავდება სამგანზომილებიანი კურიკულუმის მიდგომით, სადაც ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდლებას, გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანმიზნებს. ე.ს.გ-ს მოთხოვნების შესაბამისად, სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები. შერჩეული შემოქმედებითი დავალებების და პროექტების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს

	მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს სწორად აქვთ გააზრებული, როგორ ავითარებს ამ უნარებს შემოქმედებით დავალებებზე მუშაობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მუშავდება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული ყველა თემა, თემის ფარგლებში - სამიზნე ცნებები. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები მუშავდება ნაწილობრივ, კომპლექსური დავალებებით. მასწავლებლელთა აღნიშვნით, სრულად სამიზნე ცნებების დაფარვას გეგმავენ იმ საკითხებით, რომლებიც ამ ეტაპზე კურიკულუმში ასახული არ არის, რადგან კურიკულუმი დახვეწის პროცესშია. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ნათელია მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომელიც თავისთავად მოიაზრებს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების მიღწევისთვის შესაბამისი აქტივობები. მათი განხორციელებით მიიღწევა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული

	სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს ისეთი უნარების განვითარებას, როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება კომუნიკაცია და თანამშრომლობა. მაგალითად, მე-2 კლასის კურიკულუმში კომპლექსური დავალების იდეაა ზღაპრის ეპიზოდის – „„პინოქიო სკოლაში მიდის“ მიხედვით ილუსტრაციის დახატვა. VII კლასში- წერილობითი ინტერვიუ ჩემს გმირთან (შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით); X კლასში-წყაროზე დაყრდნობით ზეპირი გამოსვლის მომზადება თემაზე: რელიგიისა და რწმენის თავისუფლება იოანე საბანისძის ნაწარმოების „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა ჰაბოისი“ მიხედვით ; დასახელებული შემოქმედებითი დავალებების იდეები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მასში ძირითადად ასახულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები და საფეხურის შედეგები; თუმცა, **საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სრულად არ არის გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საკითხი, კერძოდ, „სინუსების თეორემა“ და „კოსინუსების თეორემა“, რომლებიც ემსახურება თემის „გეომეტრიული ობიექტი, ზომები“ დამუშავებას.** კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები, დავალებები, დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევას. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებების მრავალფეროვანი იდეები.

	ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმებზე მუშაობის პროცესში მიღებულ გამოცდილებას გამოიყენებენ მათი რევიზიისას, რაც კურიკულუმებში გარკვეულ ცვლილებებს განაპირობებს. მათემატიკის კურიკულუმების ანალიზისას გამოვლინდა ხარვეზი - საშუალო საფეხურის კურიკულუმებში სრულად არ იყო გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საკითხი. კერძოდ, „სინუსების თეორემა“ და „კოსინუსების თეორემა“,რომლებიც უზრუნველყოფს თემის „გეომეტრიული ობიექტები და მათი ზომები“ სრულფასოვან დამუშავებას. არგუმენტირებული პოზიციისას სკოლამ წარმოადგინა XI კლასის განახლებული კურიკულუმი, სადაც აღნიშნული საკითხები უკვე გათვალისწინებულია. შესაბამისად, გამოვლენილი ხარვეზი აღმოფხვრილია. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება შეიცვალა, კერძოდ, დასკვნის პროექტში ინდიკატორი ,,არ შეესაბამებოდა“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასდა ,,შესაბამისობით“. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასა და საგნობრივი საფეხურეობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, სამიზნე ცნებებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების II-VI კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტების მოთხოვნებს. სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურის მიხედვით განსაზღვრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. გლობალური ფუნქციური უნარები აღქმულია უპირობოდ პოზიტიური

	სასწავლო გარემოს მახასიათებლებად. შუალედური სასწავლო მიზნები წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების სახით, სადაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებს და ღირებულებებს. მსგავსი ტიპის დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშრომლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოსწავლის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასების კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგებთან გასაუბრებამ, განხორციელებულმა პროექტებმა, წარმოდგენილმა შემოქმედებითმა დავალებებმა ცხადყო, რომ სკოლაში საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი გამართულია. პედაგოგები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, რათა მოხდეს მოსწავლის მიერ კურიკულუმით

	გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. იყენებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსს, როგორც ინტერნეტ-რესურსებს, ისე მატერიალურს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები: ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა, თემატური რუკები. მათი გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ რესურსების გამოყენებისას მოსწავლეებს ეძლევათ მკაფიოდ განსაზღვრული ინსტრუქციები და რეკომენდაციები და შესაბამისად პედაგოგები წარმატებით ახორციელებენ მათ ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვალიწინებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ელექტორნული და მატერიალური მასწავლებლის და მოსწავლის მიერ შექმნილი რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალიწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულმების მიხედვით (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი რესურსი, გრიფირებული/ან განათლების სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები. კურიკულუმში ასევე წარმოდგენილია დამატებითი ელექტრონული რესურსები: ვიდეო რგოლები, ელექტრონული პლატფორმები, მოსასმენი მუსიკალური ნაწარმოებები. ვიზიტის დროს კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ელქტრონულ რესურსებს მოსწავლეებს პირადად უზიარებენ და აცნობენ საგაკვეთილო პროცესში. ასევე, კათედრის წევრები ცდილობენ მუდმივად განაახლონ რესურსები და საგაკვეთილო თემებზე მორგებული მრავალფეროვანი მასალით გაამდიდრონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის კურიკულუმებში პედაგოგების მიერ გაწერილი რესურსები მიზნობრივ შესაბამისობაშია სასწავლო პროცესთან, დოკუმენტებში

	ასახული ელექტრონული რესურსები (საგანმანათლებლო ლინკები, ანიმაციები, ფილმები); მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ IIIკლასში ანიმაციური ფილმი ,,სანუკვარი ოცნება“, დიორამები, სქემები: „პერსონაჟის რუკა“, „სიტყვის ცნება“, „თავიდან, შემდეგ, ბოლოს“; VI კლასში ანიმაცია ,,ბემბის“ ჩვენება ,,შვლის ნუკრის ნაამბობის“ სწავლებისას. ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლა მათ იყენებს მიზნობრივად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო რესურსების შერჩევას. კურიკულუმში წარმოდგენილი და კათედრაზე შეთანხმებული ელექტრონული თუ მატერიალური რესურსები ხელს უწყობს სამიზნე ცნებების დამუშავებას და მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმის შედგენისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, მატერიალური რესურსით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგად განმავითარებელი ვარჯიშებით და ელექტრონული რესურსი ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები (school.emis.ge, code.org, Scratch.mit.edu, 3DPaint, ,,ვსწავლოთ თამაშით”, Sway, Powerpoint, Word, Excel, და სხვა) და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები წიგნების სახით : „გამარჯობა რუბი“ და „ციფრული სამყარო“(სამუშაო რვეული). უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

	დაწყებითი კლასების კურიკულუმებში გათვალისწინებული სასწავლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და დამხმარე მასალა ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნებში წარმოდგენილი კურიკულუმები და შემოქმედებითი დავალებები, პროექტები მრავალფეროვან და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო პროგრამაზე ორიენტირდება. ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს 3 სსსმ მოსწავლე. სპეციალურ მასწავლებელთან ერთად მუშაობენ აღნიშნული მოსწავლეების შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენაზე. ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. მუშაობენ ადაპტირებულ შემოქმედებით დავალებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება, მართალია, კურიკულუმი წარმოდგენილია თემის, სამიზნე ცნების, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, საკითხებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე, თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, მასწავლებლები სასწავლო პროცესში მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას. საგნობრივი კურიკულუმები იძლევა მოდიფიცირების საშუალებას. მოცემული კომპლექსური დავალებებით მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავისი უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში წარმოდგენილია სსსმ მოსწავლისთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და აქტივობები. ასევე, გათვალისწინებულია დიფერენცირებული აქტივობები მოსწავლეების საჭიროებების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების კომპეტენცია. კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას მათი სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების სამივე საფეხურზე სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს და დიფერენცირებული სწავლების პრონციპებს. დოკუმანტაციის შესწავლისას და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა სასწავლო პროცესის კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. ცხადია, რომ ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკაა თვალყური ადევნოს სსსმ მოსწავლეთა ინდ. გეგმების შემუშავებასაც. VI კლასის მოსწავლისათვის წარმოდგნილია ინდ. გეგმის ნიმუში, რომელიც კარგადაა მორგებული მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. ამის გარდა, შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც გაწერილია საგნობრივ კურიკულუმებში, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	როგორც მოწოდებული დოკუმენტაციიდან და კათედრის წევრებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, სკოლას სამივე საფეხურზე გათვალისწინებული აქვს სწავლების დიფერენცირებული მიდგომები. სწავლა-სწავლების პრინციპები ორიენტირებულია: სასწავლო გარემოს მოქნილობაზე; სწავლის პროცესზე; მრავალფეროვან და მოსწავლეზე

	მორგებულ სასწავლო პროგრამაზე; დავალებების კომპლექსურ ბუნებასა და მრავალფეროვნებაზე. მასწავლებლებს გააზრებული აქვთ დიფერენცირების როლი სწავლა-სწავლების პროცესში. როგორც აღნიშნეს, მათ მიერ დაგეგმილი აქტივობები გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. მოსწავლეებს აძლევენ არჩევანის თავისუფლებას ან სთავაზობენ ისეთ დავალებას, რომელიც მორგებულია მათ შესაძლებლობებს. საჭიროებისამებრ ახდენენ დავალებების მოდიფიცირებას სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის; დავალების ადაპტირებას სსსმ მოსწავლისათვის; ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	პედაგოგთან საუბრისას დაზუსტდა, რომ ცდილობს სასწავლო პროცესები მოარგოს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს. საგანში ჰყავთ სსსმ მოსწავლეც, რომელსაც სპორტის საგანში არ აქვს შეზღუდვები ბავშვი სპორტში აქტიურია და არ ჩამოუვარდება თანატოლებს. მოსწავლეს არ აქვს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება. თუმცა მასწავლებელმა გამოთქვა მზაობა საჭიროების შემთხვევაში იქონიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. კათედრას წარმოდგენილი აქვს განხორციელებული აქტივობები. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	მტკიცებულებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი (კომპიუტერული ტექნოლოგიები II-VI კლასები) ჩარჩო კურიკულუმების განხილვისას ჩანს, რომ საგნობრივი კურიკულუმების სტრუქტურა და კონცეფცია თავისი ბუნებით ხელს უწყობს ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებას. შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრულია საფეხურის და არა კონკრეტული წლის ფარგლებში. შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელ ინსტრუმენტია კომპლექსური დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი

	ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს. მასწავლებელს კომპლექსური დავალებები ისეთნაირად აქვს შერჩეული, რომ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააკეთონ სხვადასხვა არჩევანი ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისა, ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას, რათა მოსწავლის საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანი იყოს. თვითშეფასების ფორმაშიცაა აღნიშნული და ინტერვიუს დროს პედაგოგმაც აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით იყენებს დიფერენცირებულ მიდგომებს და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. სკოლას აქვს მზაობა გამოიყენოს დიფერენცირებაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიები, გაკვეთილზე გამოსაყენებელი დამხმარე მასალები და აქტივობები კათედრულ დონეზე, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სასწავლო პროცესში მიმართავენ პროცესისა და დავალებების დიფერენცირებას, მოსწავლეებს სთავაზობენ მრავალფეროვანი შემოქმედებითი პროდუქტების არჩევანს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. კრიტერიუმები ისეა გაწერილი, რომ აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი. გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას, აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში. თუმცა ზოგჯერ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები არ არის კონკრეტული და ზოგიერთი მათგანი არ

	გამომდინარეობს თემის სამიზნე ცნებიდან. პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ ამ მიმართულებით აგრძელებენ მუშაობას. იყენებენ და მომავალ სასწავლო წელსაც აუცილებლად გამოიყენებენ ,,მოსწავლის თვითშეფასებას'', რომელიც ხელს შეუწყობს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, ამ დროს მოსწავლე ახდენს საკუთარი სასწავლო პროცესის გაანალიზებას, რის შედეგადაც მოსწავლეს უვითარდება თვითეფექტურობის განცდა და ხდება თავდაჯერებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ მტკიცებულების სახით დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტაციაში წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, ასევე ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ჩამოაყალიბეს თუ რა პრინციპით ხდება მათი შედგენა: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა იქმნება სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებთან მიმართებით თემის ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში წარმოდგენილია მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს დაწყებით და საბაზო საფეხურზე ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება), ხოლო საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების ფარგლებში, მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას სამივე საფეხურის პროგრამებში წარმოდგენილი აქვს როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები (ასევე მოსწავლის შემოქმედებითი პროდუქტები თანდართული შეფასებებით) რომლებიც შედგენილია მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების რუბრიკებში სატანდარტის სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები მისადაგებულია საკითხებსა და შეფასების კრიტერიუმებთან.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ზოგადი ხასიათის შეფასების რუბრიკები, როგორებიცაა : ესეს, პრეზენტაციის, თხზულების, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციების , დისკუსიის, აგრეთვე, ჯგუფური მუშაობის. მათ, აგრეთვე შემუშავებული აქვთ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები კონკრეტულ თემებთან მიმართებაში (მაგალითად, მე-5 კლასში წარმოდგენილია წერილის დაწერის განმავითარებელი შეფასების რუბრიკა თემა: წერილი პერსონაჟს – შესწავლილი ნაწარმოებების „ბახტრიონის აღება“ – მიხედვით; მე-8 კლასში ჯგუფური პრეზენტაციის და თვითშეფასების განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები ნოდარ დუმბაძის ,,ჰელადოსის“ მიხედვით შემუშავებულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებში); ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები ერთად ამუშავებენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკრეტულ თემებთან მიმართებაში წერენ რუბრიკებში. მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ეყრდნობა თემატურ კონტექსტებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვს, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებსა და კათედრის წევრების ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, მოსწავლეებს იმის გაგებაში, თუ როგორ გაიუმჯობესონ საკუთარი სწავლის პროცესი, ეხმარება შეფასება. კათედრაზე შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები. სამივე საფეხურზე იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას (განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება დაწყებით საფეხურზე V კლასის მეორე სემესტრში და VI კლასში), რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ფარავს გრძელვადიან

	მიზნებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბების არსი, იცნობენ და ერკვევიან შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და ინსტრუმენტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ყველა მათგანი ემყარება საგნობრივ სტანდარტს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი, განმსაზღვრელი, შემაჯამებელი დავალების, შეფასების რუბრიკები. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმაში და თვითშეფასებაში ჩანს, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლის განვითარების დინამიკის ხელმშემწყობი მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დაწყებით კლასებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ ზოგადი და კონკრეტულ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია
- საგნობრივი კათედრების წლიური სამუშაო გეგმები
- დიფერენცირებული დავალების ნიმუშები შეფასების ინდიკატორებით საგნებში (კათედრების მიხედვით)
- ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების ამსახველი მასალები
- სასკოლო პროექტების განხორციელების ამსახველი მასალები
- არაფორმალური მიმართულებით განხორციელებული აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა
- კლუბების საქმიანობის ამსახველი მასალა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი მტკიცებულებები და აგრეთვე გასაუბრება საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, დაფუძნებული არის გრძელვადიან მიზნებზე, კონკრეტულად კი სტანდარტით მისაღწევ შედეგებზე, სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. თუმცა მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შესაძლოა სასწავლო წლის მანძილზე მოხდეს კურიკულუმის ცვლილება, რაც მოსწავლეთა საჭიროებებით იყოს გამოწვეული. სასწავლო პროცესი მთლიანად ეყრდნობა კურიკულუმებში წარმოდგენილ კონკრეტულ საკითხებს და ქვესაკითხებს და უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების გათავისებას. მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებსა და სწავლის მექნიზმს შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში მოცემულია მრავალფეროვანი და საინტერესო კომპლექსური დავალებები, რომელიც გულისხმობს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა მზაობა მომავალი სასწავლო წლისთვის ასევე მათი სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით და გააკეთეს ზუსტი აქცენტები კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. მასწავლებლებმა გასაუბრების შედეგად აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ვერ განხორციელდა ყველა დაგეგმილი კომპლექსური დავალება, კურიკულუმის

	განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების გამო, კათედრაზე იგეგმება ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში, საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება. რაც საგნობრივი პროცესის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებას ემსახურება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, სასწავლო პროცესი, რომელიც დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმებში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) წარმოდგენილი აქტივობები შეესაბამება სამიზნე ცნებებსა და თემას. შერჩეულია კომპლექსური დავალების იდეები, თვალსაჩინოა თემის, საკითხის, სამიზნე ცნებისა და ქვეცნებიების ურთიერთკავშირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმს. ეს კარგად ჩანს სკოლის მტკიცებულებებში. სახელმწიფო ენის კათედრამ დოკუმენტაციაში აღწერილია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები. მაგალითად: მე-3 კლასში - ინტეგრირებული პროექტის გეგმა ,,როგორ ცხოვრობენ გარეული ცხოველები (ქართული, ხელოვნება, მუსიკა, მათემატიკა) და რეფლექსია; ასევე, სკოლაში ფუნქციონირებს ლიტერატურული კლუბი „ჩვენ გვიყვარს კითხვა,“ მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია გვხვდება მტკიცებულებებში; პირველი კლასის მასწავლებლის ანგარიშში ,,სასკოლო მზაობისა და ადაპტაციის ხელშემწყობი ღონისძიების შესახებ“, განხორციელებულ აქტივობების აღწერასა და რეფლექსიასთან ერთად, წარმოდგენილია ფოტომასალა და შედეგების ანალიზი; I კლასში გვხვდება ჩატარებული თეატრალური წარმოდგენა ,,წითელქუდას“ რეფლექსია ფოტომასალასთან ერთად. Vll კლასში- პროექტი, რომლის თემაა ,,სკოლის როლი ჩემს ცხოვრებაში“; სასკოლო

	გუნდური ინტელექტუალური თამაში „ტვინების ბრძოლა“. ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი შეესაბამება სასწავლო კურიკულუმს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის კურიკულუმებსა და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივი კურიკულუმი აგებულია სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით. თემები და საკითხები ისეა წარმოდგენილი, შემოქმედებითი ტიპის დავალებები შერჩეული, რომ მოსწავლეებში იწვევს ინტერესს, რაც საშუალებას აძლევს მათ ნაცნობი კონტექსტის ფარგლებში და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მიიღონ ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული, ინფრასტრუქტურის მიხედვით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო ფესტივალები), არაფორმალური განათლების მხრივ აქტივობებში ჩართონ მოსწავლეები. სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. სკოლა აქტიურად ასპარეზობს რაიონულ და რეგიონალურ შეჯიბრებზე ,“ ფრენბურთში“ მოპოვებული აქვთ მე-2 ადგილი. კათედრამ წარმოადგინა აქტივობების ამსახველ ფოტო მასალაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმების შექმნისთვის გეგმა და მეთოდიკა, რომელიც ეყრდნობა კათედრების/დამრიგებლების/ინკლუზიური განათლების სპეციალისტების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. მათემატიკისა და ისტ-ის კათედრამ განიხილა სკოლის გამოწვევები, მუშაობისას აქცენტი გააკეთა წინა სასწავლო წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით, განაახლა სასკოლო კურიკულუმი და დასამტკიცებლად მოამზადა. ამასთან, მუშაობის პროცესში რეკომენდაციების

	გათვალისწინებით, სკოლის დირექციამ უზრუნველყო სასკოლო კურიკულუმის განვითარების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებულობა. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ არის გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს და საკვანძო შეკითხებს შორის. ეს ერთის მხრივ, უზრუნველყოფილია კარგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუებით, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებებით და მათი რეფლექსიით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, წარმოდგენილია თემები, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, განსაზღვრულია შუალედური მიზნები, მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ შუალედური მიზნების შერჩევისას იხელმძღვანელეს სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის და საჭიროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

საგნობრივი კურუკუმების შეფასებისას გამოვლინდა, რომ საჭიროების შემთხვევაში მოქნილად რეაგირებს და ცვლის სწავლების პროცესს მოსწავლეების, მშობლების და საზოგადოების საჭიროებების მიხედვით. შეფასების შედეგები გამოიყენება კურიკულუმში ცვლილებების შეტანისთვის, ხოლო საგნობრივი კათედრები წარადგენენ შემაჯამებელი და შემოქმედებითი დავალებებისა და წლიური კურიკულუმების ანალიზებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. ვიზიტის ფარგლებში, სკოლის პერსონალთან გამართული გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს საკმარისი კომპეტენცია მოქნილად რეაგირებდეს შემხვედრ საჭიროებებზე, რადგან მას შეუძლია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და რესურსების განაწილების ადაპტირება კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საგნობრივ სტანდარტზე, სამიზნე ცნებებზე და მკვიდრ წარმოდგენებზე არის დაფუძნებული. შეფასების რუბრიკებსა და მექანიზმებში ასახული არის სწავლის შედეგი, რომელსაც მიემართება შეფასება. შესაბამისად წარმოდგენილი შეფასების მექანიზმები ჩაითვლება ვალიდურად. როგორც სკოლის თვითშეფასებიდან ხდება ცხადი, პედაგოგები წინასწარ აწვდიან მოსწავლეებს შეფასების რუბრიკებს და ისინი ინფორმირებულნი არიან კრიტერიუმების შესახებ, რომელთაც დაეფუძნება მათი შეფასება. სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმში აღნიშნული არის, რომ შეფასება უნდა იყოს ობიექტური და სანდო. იმავე დოკუმენტში ხაზგასმული არის, რომ მოსწავლემ კონკრეტულ საგანში უნდა იცოდეს რას მოელიან მისგან და რა კრიტერიუმებით აფასებენ მის ცოდნას. წარმოდგენილი შეფასების სქემები არის მკაფიო და ცალსახა, არ არის ორაზროვანი და არ იწვევს ორაზროვნებას შეფასების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წევრებთან ინტერვიუსა და აგრეთვე, მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით (შეფასების რუბრიკების ნიმუშები), კათედრამ შეიმუშავა ისეთი შეფასების კრიტერიუმები სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. სკოლაში შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით თითოეული თემის ფარგლებში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. პედაგოგებს აქვთ გააზრებული, როგორი სახის შეფასების რუბრიკა უნდა შექმნან თემის შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, რომ კათედრა ცდილობს შეფასების სისტემა გახადოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების რუბრიკებს აცნობს მოსწავლეებს და მშობლებს წინასწარ. კრიტერიუმებს შეიმუშავებს მოსწავლეებთან ერთად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, მკაფიოდ და გასაგებადაა გაწერილი კრიტერიუმები, რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს თვითშეფასებაც განახორციელოს. ასევე დოკუმენტაციაში წარმოდგენილია თემის ფარგლებში შესრულებული დავალებები, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითერებელი შეფასებებით, რომელშიც კარგად ჩანს თუ როგორ ახდენს მასწავლებელი მოსწავლის ცოდნის დონის შეფასებას სამიზნე ცნებებთან მიმართებით . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების რუბრიკები, რომლებიც უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. მათში ცალ-ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. ზოგად რუბრიკებთან ერთად წარმოდგენილია კონკრეტულ თემებთან მიმართებაში გაწერილი შეფასებები, სამიზნე ცნებების შესაბამისად. შუალედურ სასწავლო მიზანს ახლავს შეფასების რუბრიკები (მაგალითად, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმები მე-6 კლასში, თხზულების „ბახტრიონის აღებასთან“ მიმართებაში, ნათლად გვიჩვენებს, რომ შეფასების სისტემა უზრუნველყოფს გამჭვირვალეობას, სანდოობას, სამართლიანობასა და ვალიდურობას) პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და ეფექტიანად იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს, შეთანხმებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია საგნობრივი შედეგების შესაბამისად. მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, ზუსტად აქვთ გააზრებული რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა, პროდუქტმა თუ ნაშრომმა. კათედრას

	შექმნილი აქვს მკაფიო შეფასების სქემა შესაფასებელი დავალების თითოეული ელემენტისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას თანაბარი სამართლიანობა ყველა მოსწავლის მიმართ. ეს ყოველივე გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტირების დოკუმენტები შემუშავებული ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელს გააზრებული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ შეფასების კრიტერიუმები, რათა სწორად დაგეგმონ საკუთარი სწავლების გზა. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კათედრაზე არსებობს დიაგნოსტირების, ურთიერთდასწრების, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების პრაქტიკა, რასაც მოწმობს სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. ეს ყველაფერი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ვალიდურობის პრინციპების დაცვას. საგნობრივი კათედრების წარმომადენლებთან ასაუბრებისას დადინდა, რომ მათი ნაწილი უკვე ხელმძღვანელობს აღნიშნული დოკუმენტით, მცირე შემთხვევაში, კი მიმდინარე სემესტრის განმავლობაში მოხდება ვერიფიკაციის პროცესის ამოქმედება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში შეფასების მონაცემები და მტკიცებულებები ინახება როგორც მატერიალურ საკლასო ჟურნალებში, ასევე 2021–2022 სასწავლო წლიდან ელექტრონული ჟურნალის ფორმატში. გარდა ამისა, სკოლა ინახავს მოსწავლეთა შემაჯამებელ დავალებებს სამწლიანი პერიოდის განმავლობაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სასკოლი სასწავლო გეგმა
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრება
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის ფორმასსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის და ბუნებისმეტყველების კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო რესურსია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. აგრეთვე მასწავლებლები იყენებენ დამხმარე სასწავლო ელექტრონულ რესურსებს (სკოლას გააჩნია კომპიუტერული ლაბორატორია), el.ge, ტელესკოლის გაკვეთილებს. სკოლას აქვს თვალსაჩინოებები, ზოგიერთი საჭირო პრეპარატი, ქიმიური რეაქტივები, ხელსაწყოები, რაც შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს შუალედური სასწავლო მიზნები (შემოქმედებითი დავალებები) დაგეგმონ ისე, რომ შესაქმნელი პროდუქტი და მისკენ მიმავალი აქტივობები დაფუძნებული იყოს მარტივი და ხელმისაწვდომი სასკოლო ექსპერიმენტების ჩატარებაზეც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მატერიალური რესურსის სახით კი რუკებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებას მასწავლებლები თვითონ უზრუნველყოფენ. გასაუბრების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ რესურსებს იყენებენ გეგმიურად და განსაზღვრავენ, რომელ ეტაპზე და როგორ გამოიყენოს თითოეული რესურსი **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ქართული ენისა და ლიტერატურის ყველა საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც ძირითად, ისე დამხმარე სასწავლო რესურსებს, რომლებიც გაწერილია კურიკულუმებში. ესაა როგორც დამხმარე ტექსტები, სახელმძღვანელოსთან ერთად, ისე სასწავლო თემებთან შესაბამისი ვიდეო და აუდიო მასალა, როგორებიცაა ანიმაციური, დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები. გადმოგზავნილი დოკუმენტაციიდან, რომლებშიც სხვადასხვა აქტივობაა აღწერილი, კარგად ჩანს მათი მრავალფეროვნება და მიზნობრივი გამოყენება. პედაგოგებმა ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს იმაზე, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეებთან ერთად არჩევენ რესურსებს, რომლებსაც უთითებენ კურიკულუმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში, რესურსების შერჩევისას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მითითებულია

	გრიფირებული სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარე რესურსად სხვადასხვა ელექტრონული და მატერიალური რესურსები, რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხსა და მიზანს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელთა გამოყენებაც დაგეგმილია სასწავლო პროცესში. წარმოდგენილი რესურსი დაეხმარება მასწავლებელს მიაღწიოს დასახულ მიზანს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სასწავლო მიზნების მისაღწევად და მოსწავლეთა დასაინტერესებლად სკოლა ეფექტურად იყენებს სასწავლო პროცესში როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე დამხმარე სახელმძღვანელოებს, ელექტრონულ თუ მატერიალურ რესურსებს. მათი გამოყენება ხელს უწყობს სასწავლო მიზნების შესრულებას და მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლა აქტიურად იყენებს ყველა საჭირო რესურს რაც ნათლად ჩანს სასკოლო კურიკულუმებში, რომელიც წარმოდგენილია ლინკების სახით. მოწოდებულ ინფორმაციას ამყარებს სკოლის მიერ წარმოდგენილი აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა, განთავსებული პრიზებით, რაც მოიპოვეს სხვადასხვა შეჯიბრებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას შემუშავებული აქვს საგნობრივი კურიკულუმების ფორმა, რომლებიც მოიცავს ძირითადი და დამხმარე რესურსების ველებს. დაწყებითი საფეხურის კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსია school.emis.ge და ასევე სხვა ელექტრონული პლატფორმები: code.org, scratch.mit.edu, 3DPaint, ,,ვსწავლოთ თამაშით", Sway, Powerpoint. სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული რესურსების შეუფერხებელ გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, რომლებიც მორგებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ყველა მოსწავლის საჭიროებაზე იქნება მორგებული. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, ასევე ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია მათი საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად. რესურსოთახი აღჭურვილია ინკლუზიური სწავლებისათვის საჭირო რესურსებით. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების გეგმა.მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ როგორც ვერბალურ რესურსს, ასევე სთავაზობენ ისეთ რესურსებს, რომელთა გამოყენებითაც მასალას უკეთ აღიქვამენ და გაიაზრებენ: ფოტო/ვიდეო მასალა, ანიმაცია, მულაჟი, ნახატი, ილუსტრაცია, ცხრილი და სხვა. ამისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოვლიდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რადგან ის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა დაცვისთვის, რომ არ მიიღოს გადაუმოწმებელი არასწორი ინფორმაცია. ინტერვიუირებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ რესურსი აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს საგნის კონკრეტულ თემატიკას, ასაკობრივ დონეს და პროგრამას, ასევე სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით

	რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	დამხმარე სასწავლო რესურსი არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, აკმაყოფილებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას საგნებში მუსიკა /სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება. რესურსები დახმარებას უწევს მასწავლებლებს შემოთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებაში, მოსწავლეებს კი საგნების სწავლა-სწავლებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის უზრუნველყოფას სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სახელმწიფო ენის კურიკულუმებში ასეთ რესურსებად მითითებულია როგორც სხვადასხვა ლიტერატურა, ისე საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, სურათები, პლაკატები, მოდელები და სხვ.); ფილმები, თეატრი, მუზეუმი, ისტორიული ძეგლები, ბუნებრივი გარემო და სხვ. ურთიერთდასწრების შემდეგ წარმოდგენილი ანგარიშები გვიჩვენებს , რომ მათი გამოყენება ხდება მიზნობრივად და შედეგიანად; სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ,,დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი“, რომელშიც ,,ზოგად დებულებებთან „ ერთად, გაწერილია ვალიდაციის კრიტერიუმები, ვალიდაციის ეტაპები, მშობელთა ჩართულობა, მონიტორინგი და შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	დამხმარე სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს სკოლა კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისას სამივე საფეხურზე, შეესაბამება ესგ-თი გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. ის შეთანხმებულია კათედრაზე, სასკოლო სასწავლო გეგმით და სასწავლო რესურსების ვალიდაციის დამადასტურებელი დოკუმენით.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სკოლაში არსებული რესურსები საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული სხვა პერსონალისთვის. კურიკულუმში გაწერილი რესურსიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამის რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	საგნობრივ კათედრაზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი იყენებს შემდეგ დამხმარე რესურსებს: გამარჯობა რუბი და ციფრული სამყარო (სავარჯიშო რვეული). აღნიშნული რესურსები არის ვალიდური და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის* დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრის წევრების მიერ ერთობლივად, მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ამ ეტაპზე სკოლას აქვს სივრცე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებისთვის, მაგრამ არ გააჩნია თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.** სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური

	რესურსი სკოლის მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. დაცულია უსაფრთხოების და ჰიგიენური ნორმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს სკოლის რესურსების რეგულარულ შეფასებას და განვითარებას. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ საჭირო რესურსების სიმცირის/არქონის პირობებში ხშირად ვერ ატარებენ ექსპერიმენტებსა და ქიმიურ რეაქციებს. ასევე პედაგოგებმა აღნიშნეს,რომ მარტივი და ხელმისაწვდომი რესურსებით მოსწავლეები ექსპერიმენტულ დავალებებს სახლის პირობებშიც ატარებენ. **შესაბამისობის გეგმით აღნიშნული საკითხის მოგვარების პერიოდია 23/12/2025-23/12/2026 წ.წ.** **ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები, რესურსების შერჩევისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ელექტორნულ და მატერიალურ რესურსებს, პოსტერებს, ბროშურებს, აუდიო და ვიდეო მასალას და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურზე სკოლას უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებით. პედაგოგებთან ინტერვიუს

	დროს გაირკვა, რომ დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურას კონკრეტული პედაგოგები ასწავლიან, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურებზე - სხვა პედაგოგები, თუმცა ისინი სისტემეტურად თანამშრომლობენ და ერთმანეთს უთანხმებენ ყველა საჭირო საკითხს თუ რესურსს. ვალიდაციის წესში აღნიშნულია ისიც, რომ თუ მატერიალური რესურსები დაკავშირებულია ფინანსურ მხარესთან, სკოლა უზრუნველყოფს მათ ხელმისწვდომობას ყველა მოსწავლისთვის . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით: გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მატერიალური და ციფრული რესურსებით, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ეფექტურად განახორციელოს სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას აქვს სპორტული დარბაზი შესაბამისი ინვენტარით და გასახდელებით და ღია კალათბურთის მოედანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. დაწყებით საფეხურზე კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები ტარდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი და განრიგი. სკოლას აქვს 10 პერსონალური კომპიუტერი, 32 ლეპტოპი, 5 ქსეროქსი და 1 პროექტორი. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით, აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, მათ შორის უფროსი მასწავლებლები, რომლებიც ფლობენ შესაბამის საგნობრივ კომპეტენციებს და უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის წესი
- საგნობრივი კათედრების ოქმები სახელმძღვანელოების არჩევისა და ვალიდაციის თაობაზე
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის პედაგოგთა მონაცემები ელექტრონულ ბაზაში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგია უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების სისტემატურ, წინასწარ განსაზღვრულ და სანდო პროცესს. მონიტორინგი მოიცავს მოსწავლეთა ჩართულობის, სასწავლო შედეგების, მასწავლებელთა პრაქტიკისა და სასკოლო ადმინისტრაციის პროცესებში მონაწილეობის შეფასებას, ხოლო შეფასების პროცესი უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ მოსწავლის განვითარებასა და სასწავლო მიზნებს. შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები გამოიყენება კურიკულუმის რევიზიაში და მომავალი წლის დაგეგმვაში, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას და ხარისხის გაუმჯობესებას. ამგვარად, მონიტორინგი და შეფასება სრულადაა განსაზღვრული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას, სიზუსტეს და სასწავლო პროცესის ეფექტურობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სასკოლო კურიკულუმის განვითარებაში მონიტორინგი და შეფასება არის მთავარი ინსტრუმენტი, რომელიც სკოლას ეხმარება გააანალიზოს სწავლის პროცესში არსებული სირთულეები. კურიკულუმის განახლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მონაცემებზე დაფუძნებულ მიდგომას: სკოლა განსაზღვრავს, რომელ მიმართულებებზეა საჭირო

ზემოქმედება და რა კომპონენტები საჭიროებს კორექტირებას ან ცვლილებას. მასწავლებლები და კათედრები რეგულარულად აკვირდებიან კლასში მიმდინარე პროცესებს, აფასებენ, რომელი მეთოდები მუშაობს ეფექტიანად, რა რესურსები არის საკმარისი და სად არის საჭირო დამატებითი მხარდაჭერა. ეს შეფასებები აისახება თემატურ დაგეგმვაში, შუალედურ მიზნებში და სხვა გადაწყვეტილებებში, რომლებიც სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგი და შეფასება არ არის მხოლოდ ფორმალური პროცესი, ის რეალურად განსაზღვრავს პრობლემების მოგვარების გზებს, ქმნის საფუძველს რეკომენდაციებისთვის და უზრუნველყოფს, რომ მომდევნო წლის კურიკულუმი შეესაბამებოდეს სკოლაში არსებულ საჭიროებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რადგან აღნიშნული პროცესის მიზანია სწავლა-სწავლების პროცესში მონაწილე ყველა მხარის საჭიროებების დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება. მონაცემების შეგროვება, ანალიზი და განხილვა კათედრისა და დირექციის ერთობლივი თანამშრომლობით იძლევა საშუალებას, კონკრეტული გამოწვევების შესაბამისად დაიგეგმოს პედაგოგების პროფესიული განვითარება, გაუმჯობესდეს მოსწავლეთა ჩართულობა და მიღწევები, გაძლიერდეს მშობლებთან კომუნიკაცია და მართვის პროცესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სასკოლი სასწავლო გეგმა
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრება
- სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის ხარისხის მართვის მექანიზმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება სხვადასხვა წყაროს ჩართულობას დაეფუძნება. მეთოდოლოგია ითვალისწინებს მონაცემების შეგროვებას და ანალიზს მრავალი მიმართულებით: მოსწავლეთა მიღწევების შეფასება (განმავითარებელი შეფასება, მოსწავლის თვითშეფასება), მასწავლებელთა პრაქტიკის რეფლექსია (თემატური მატრიცა, კათედრის სხდომები), მშობელთა უკუკავშირი, კათედრების ანგარიშები და სკოლის დირექციის მონიტორინგი. ასევე, დოკუმენტი გამოყოფს სამ ძირითად მიმართულებას მოსწავლის შედეგების დიაგნოსტირებას, მასწავლებლის პროფესიული განვითარების შეფასებასა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების მონიტორინგს, თითოეული მიმართულებისათვის ცალ-ცალკე ინსტრუმენტებსა და ვადებს ითვალისწინებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია მოწმობს, რომ შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ საკლასო გარემოთი და ითვალისწინებს სხვადასხვა კონტექსტსა და გარემოებას. კერძოდ, დოკუმენტი ასახავს შეფასებას ფორმალური სასწავლო პროცესის, სასკოლო პროექტებისა და დამატებითი საგანმანათლებლო სერვისების (კლუბები, წრეები) ჭრილში. პედაგოგებთან გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ შეფასების პროცესში გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისა და განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე მოსწავლეების ინტერესები. სკოლას წამოდგენილი აქვს კათედრის ოქმები, ურთიერთდასწრების ფორმები, საიდანაც იკვეთება, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლობითი გარემო, რაც ეხმარებათ პრობლემის გადაჭრასა და დაძლევაში. გამომდინარე იქიდა, რომ ავტორიზაციის პროცესისთვის არ დასრულებულა სასწავლო წელი, სკოლის წარომადგენლებმა განმარტეს, რომ სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის წევრების, ხარისხის მართვის მენეჯერისა და სხვა პასუხისმგებელი პირების ჩართულობით შეფასდება კურიკულუმების დანერგვის ეფექტიანობა და მომზადდება რეკომენდაციები საგნობრივი კათედრებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

„სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიითა და ხარისხის მართვის დოკუმენტებით განსაზღვრულია პროცესების შეფასებისთვის გამოსაყენებული მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები (რაც უზრუნველყოფს პროცესის სიზუსტესა და სიღრმისეულობას - მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, დაკვირვება, თემატური მატრიცები, პედაგოგის თვითრეფლექსია, კათედრის სხდომებზე განხილული საკითხები, უკუკავშირი მშობლებისა და მოსწავლეებისგან და სხვა). ეს საშუალებას მისცემს სკოლას, შეაფასოს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობა სხვადასხვა რაკურსით და გამოავლინოს გასაუმჯობესებელი მიმართულებები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოუმენტაციისა და სკოლის პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სწავლისა და სწავლების პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რაც განაპირობებს მის მრავალმხრივობასა და ობიექტურობას. სკოლას გეგმავს 2025-2026 სასწავლო წელი შეაფასოს კომპლექსურად, შემდეგი ფაქტორებების გათვალისწინებით: სასწავლო მიზნების მიღწევის დონე, მოსწავლეთა აკადემიური წინსვლა, ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭროებების განსაზღვრა. ამგვარი მიდგომა სკოლას საშუალებას მისცემს, გააანალიზოს მიღწეული პროგრესი, დაადგინოს გამოწვევები და დაგეგმოს განვითარებაზე ორიენტირებული ნაბიჯები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის 2025-2026 ს.წ. სასკოლი სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სადამრიგებლო პროგრამები
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრება
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის 2025 -2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია პირდაპირ ითვალისწინებს სარეკომენდაციო პაკეტის შემუშავებას. კერძოდ, კურიკულუმის რევიზიის ეტაპზე, მოსწავლეთა ჩართულობის, აკადემიური შედეგების, მშობელთა მონაწილეობის, კათედრის მუშაობისა და სკოლის დირექციის საქმიანობის შეფასების საფუძველზე, სკოლა მოამზადებს ორ სახის რეკომენდაციების პაკეტს: ერთს - მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისთვის, მეორეს - სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განახლებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ წარმოდენილი მეთოდოლოგია ადასტურებს, რომ კურიკულუმის განახლება არ წარმოადგენს ერთჯერად მოქმედებას, არამედ მოიაზრება უწყვეტ, ციკლურ პროცესად, რომელშიც ყოველი შემდეგი წლის კურიკულუმი დაეყრდნობა წინა წლის გამოცდილებას. კერძოდ, შუალედური სასწავლო მიზნების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება წინა წელს ეფექტურად გამოყენებული აქტივობები და სასწავლო რესურსები, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკა და კათედრის სხდომებზე გამოკვეთილი გამოწვევები. აღწერილი პროცესების შესაბამისი აქტივობები გათვალისწინებულია 2025-2026 სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის სასკოლი 2025-2026 ს.წ. სასწავლო გეგმა
- სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ საბუეს საჯარო სკოლის პედაგოგებთან გასაუბრება
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრების სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი: 05.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიღელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თათული მგელაძე	თ.
მანანა ვარდოსანიძე	მ. ვარდოსანიძე
მაკა ნატროშვილი	მ.
ვლადიმერ უშიკიშვილი	
ნატო გერგაია	ნ.
ხათუნა ქერაშვილი	ხ.
ნონა გამხიტაშვილი	ნ.

ნინო ზირაქაძე

ეკატერინე გავაშელიშვილი

ინგა გოგალაძე